# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 7 ნოემბერი 2001 №213 (1486) | ფასი 50 თეთრი


# ქართველები ელიან

## კალაძე ანჩელოტის გაცნობას
## ქინქლაძე დერბისთან განშორებას



კახა კალაძე

ხანმოკლე მილანური კარიერის მანძილზე საქართველოს ნაკრების მცველმა კახა კალაძემ სამი მწვრთნელი გამოიცვალა. ალბერტო ძაკერონი, ჩეზარე მალდინი და ფატიჰ თერიმი უკვე წარსულია. ამიერიდან ჩვენებურს კარლო ანჩელოტი გაწვრთნის. კალაძე ახალ მწვრთნელს დღეს გაეცნობა და, როგორც გუშინ „სარბიელს" განუცხადა, მისთვის თავის მოწონებას უპირველესად პროფესიონალიზმით ეცდება. როგორ აეწყობა კალაძის და ანჩელოტის მომავალი ურთიერთობა, ამას დრო გამოაჩენს. დერბელ გიორგი ქინქლაძეს კი „ცხვრებზე", უფრო სწორად, მის ახალ თავკაც კოლინ ტოდზე გული ასცრუებია და სხვა გუნდში გადასვლას აპირებს.

ქინქლაძის გულარძნილობის მიზეზი სწორედ რომ კოლინ ტოდია, რომელსაც ისეთი უჟმური შეჰყრია, ქინქლაძეს მასთან დალაპარაკების სურვილიც დაჰკარგვია. ტოდმა პრემიერლიგის ბოლო სამ ტურში გიორგი ძირითადს არ გააკარა და პირში წყალიც ჩაუგუბებია.

ქინქლაძემ, ძველებურად კი ვვარჯიშობ, მაგრამ პრობლემის მოგვარება ჩემს მენეჯერს მივანდე და იმედია, მოკლე ხანში ყველაფერი გაირკვევა: ან ისევ „ცხვრებში", ანაც „დერბისთვის" ხელი დამიქნევიაო.

იხილეთ მეორე და მეოთხე გვერდები



გიორგი ქინქლაძე

# ბორჯღალოსნები და კლოდ სორელი
# ფრანგებისა და მსოფლიოს წინააღმდეგ

10 ნოემბერი 15 საათი

**საქართველო - საფრანგეთი „ა"**

თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი

**მორჩინალები:** ლევან ცაბაძე (კასტრი), აქვსენტი გიორგაძე (ტულონი), გოდერძი შველიძე (ბეზიე), ტარიელ რატიანიძე (ბეზიე), ლევან ჯაველიძე (ნანტი), მამუკა მაგრაქველიძე (ოში), ვანო ნადირაძე (ბურგ ან ბრესი), ვიქტორ დიდებულიძე (ნიმი), ზურაბ მჭედლიშვილი (ალბი), დავით ბოლგაშვილი (მაზამე), გია ლაბაძე (ტულონი), ბესიკ უდესიანი (კრეზო).

**უკანა ხაზი:** გუჯა იოვაძე (აგდი), შოთა მოდებაძე (ნიმი), პალიკო ჯიმშელაძე (გრენობლი), თედო ზიბზიბაძე (მაზამე), კახა ალანია (ლოკომოტივი), მალხაზ ურჯუკაშვილი (მაზამე), ბადრი ხეხელაშვილი (ანგულემი), ბესიკ ხამაშურიძე (ტულონი), გიორგი ბუგიანიშვილი (ლოკომოტივი), ირაკლი გიორგაძე (ტულონი).

**მორჩინალები:** დამიენ მინასიანი (გრენობლი), ბასტიენ სიპიელსკი (მონფერანი), ბენუა ლეკული (ტულუზი), მატიუ ბლინი (სტად ფრანსე), ფილიპ ეჩეგარაი (პო), რეჟის სიგუარი (სტად ფრანსე), მატიუ კალიკი (დაქსი), მატიას როლანი (კოლომიე), გვენდალ ოლივიე (გრენობლი), ემანუელ ბალთაზარი (ბრივი), მიშელ დიოდი (ბეზიე), სიმონ აზულაი (ბეგლ-ბორდო).

**უკანა ხაზი:** ფაბრის კულინატი (კოლომიე), მატიუ ბორო (აჟანი), ბენჟამინ ბუაიე (ბურგუენი), დავიდ სკრელა (კოლომიე), ბენჟამინ ლამდე (კოლომიე), მატიუ დურთი (დაქსი), ანრი პიერ ვერმი (ბეგლ-ბორდო), ვენსან საბარდეილი (ნარბონი), ფრედერიკ სერმენო (პერპინიანი), ლორან მარტიკორენა (კოლომიე).

გუშინ, გამთენიისას საქართველოს მორაგბეთა ნაკრების წევრთა უმრავლესობა საფრანგეთიდან თბილისს ჩამოფრინდა და საღამოს აქ მყოფ თანაგუნდელებთან ერთად სასტუმრო „ხედში" დაბინავდა. ბორჯღალოსნებმა შაბათს, 10 ნოემბერს საფრანგეთის „ა" ნაკრებთან მატჩისთვის შეკრება დაიწყეს. გუშინვე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა დაასახელა საამმატჩო 22-კაციანი შემადგენლობა, რომელიც ტრავმებმა საკმაოდ შეასუსტა. ილია ზედგინიძე, მევლუდ მთიულიშვილი და ვასილ აბაშიძე ფრანგებთან ვერ ითამაშებენ, თუმცა, გამოჯანმრთელების შემთხვევაში 18 ნოემბერს სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებთან შებმა შეეძლებათ. ვასილ კაცაძე და გრეგუარ იაშვილი კი ორივე მატჩს გამოტოვებენ — ორივემ მხრის ოპერაცია გაიკეთა.

გუშინვე რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) გამოაქვეყნა წლის საუკეთესო მწვრთნელობაზე წარდგენილთა სია. 11 ნოემბერს ლონდონში კლოდ სორელს ამ ტიტულს ავსტრალიელი როდ მაკქვინი, ინგლისელი კლაივ ვუდვორდი და ახალზელანდიელი გორდონ ტაიტიენსი შეეცილებიან.

ინტერვიუ კლოდ სორელთან და რეპორტაჟი საქართველოს მორაგბეთა ნაკრების შეკრებიდან იხილეთ მეთხუთმეტე გვერდზე



კლოდ სორელი

# ტოდგატეხილმა ქინქლაძემ დერბიში ჭკუა ისწავლა

*ახალ წლამდე გიორგი ქინქლაძემ შესაძლოა ინგლისური „დერბი" დატოვოს და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. მიუხედავად იმისა, რომ გიო ჯანმრთელადაა და ჩვეულ სპორტულ ფორმაშია, უკვე სამი ტურია, მას პრემიერლიგაში არ ათამაშებენ.*



გიორგი ქინქლაძეს (ბურთით) „ცხვრებზე" გული აუცრუვდა

**დაახლოებით** ორი კვირაა, რაც ხელმძღვანელობამ „დერბის" მწვრთნელი ჯიმ სმიტი გაათავისუფლა და გუნდი მისსავე თანაშემწე კოლინ ტოდს ჩააბარა: „ჩემდა სამწუხაროდ, ასე მოხდა. სმიტთან ძალიან კარგი, თბილი ურთიერთობა მქონდა, აი, ტოდს კი ვატყობდი, გულზე არ ვეხატებოდი, ის სმიტის თანაშემწე გახლდათ და წარმოიდგინეთ, უკვე ამდენი ხანია, „დერბიში" ვარ, სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. რაღაც თავისებური ტიპია, უჟმური, რომ შეხედავ, ხასიათი წაგიხდება" — გვითხრა გიო ქინქლაძემ, რომელიც რამდენიმე დღეა, მამა გახდა და ვაჟს საბა დაარქვა. თუმცა მისი უთამაშებლობის მიზეზი ეს არ არის. გიო ჩვეულებრივ ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს და როგორც აქამდე, ისე ემზადება: „ძალიან კარგ ფორმაში ვარ. როგორც იქნა, ახლა არაფერი მაწუხებს, მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ და თავს ვატყობ, „დერბისთვის" სასარგებლო ვიქნები. რა ვქნა, არ მწყალობს ეს ტოდი. რა დავუშავე, რას მერჩის, ვერ გამიგია. მწვრთნელია და ფეხბურთელებზე თავის აზრი აქვს. ეგებ როგორც ახალდანიშნული მწვრთნელები აკეთებენ, მასაც გუნდში ახალი, თავის სასურველი ფეხბურთელების მოყვანა სურს და მე ამიტომაც ამითვალწუნა. თუმცა ამაში დარწმუნებული არ ვარ. უკვე ვთქვი, როცა ის სმიტის თანაშემწე იყო, არც მაშინ მქონდა მასთან კარგი ურთიერთობა. კარგი კი არა, რატომღაც ნორმალურად არც მესალმებოდა".

და ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცხადია, ჩნდება კითხვა — დარჩება კი გიორგი ქინქლაძე პრემიერლიგის მუდმივ აუტსაიდერ „დერბიში"? ჯერჯერობით ბრიტანეთის გარდა იანვრამდე ყველა ქვეყანაში სატრანსფერო სეზონი დაკეტილია და თუ გიო სხვა ქვეყნის რომელიმე კლუბმა მიიწვია, მას ახალ წლამდე მოუწევს ლოდინი. „უკვე სერიოზულად ვფიქრობ „დერბის" დატოვებაზე. ეს სურვილი მაშინაც მქონდა, როცა გუნდს სმიტი წვრთნიდა, ახლა კი, რაც გუნდი ტოდს ჩააბარეს, მით უმეტეს, მთლად ამიცრუვდა გული „დერბიზე". მოთმინების ფიალა ამევსო. ადრე ამას ხმამაღლა არ ვამბობდი. აქ თუ დავრჩი, შესაძლოა, კარიერა მალევე დავამთავრო. მე კი კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე თამაში. უკვე სამი ტურია, არ მითამაშია. მითხრას მაინც მწვრთნელმა, ჩემგან რას მოითხოვს" — გაკვირვებული კითხულობს გიორგი ქინქლაძე და იქნებ ჯობდეს, ახალ მწვრთნელს თავადვე ესაუბროს, ჰკითხოს უთამაშებლობის მიზეზი? აი, გიოს პასუხი: „მქონდა სურვილი ტოდთან მელაპარაკა, მაგრამ ისეთი გამომეტყველება აქვს, მირჩევნია, მისგან თავი შორს დავიჭირო. მითხრეს კიდეც თანაგუნდელებმა, არ გირჩევთ პირისპირ საუბარს, მაინც არაფერს გეტყვისო. ტოდი სმიტისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და მიწა. არ გაიღიმებს, არ ლაპარაკობს, გულის გასახარს არაფერს იტყვის. მოკლედ, მისი ხასიათისა ვერაფერი გავიგე".

შეგახსენებთ, „დერბი" ამჟამად პრემიერლიგაში ბოლო ადგილზეა და ახალი მწვრთნელის ხელში ჯერ თამაში არ მოუგია. იტალიელ ვეტერან რავანელის გოლი გოლზე კი გააქვს, მაგრამ ამით ქინქლაძის გუნდს არანაირი ხეირი: „რავანელი მართლაც ძალიან ძლიერი, გამოცდილი ფორვარდია და თუ საგოლე შანსი მიეცა, იშვიათად გაუცრუებია. მის კარგად შევეწყვე და ერთი-ორჯერ ისეთი პასი მივეცი, მგონი, თავადაც გაუკვირდა. მაგრამ რა ვქნა, მწვრთნელს სხვანაირი ფეხბურთის თამაში სურს და აგერ მისი შედეგიც. თანაც ვერც დაცვაშია „დერბის" საქმეები კარგად. გოლების უმეტესობა მცველთა შეუთანხმებლობის შედეგია".

ახლა პერსპექტივაზე. არა მგონია, გიორგი ქინქლაძის მსურველი გუნდი არ გამოჩნდეს. თუმცა კი ის თავს ვერ დაადებს და „დერბის" თვითნებურად ვერ დატოვებს: „ახლა ყველაფერი ჩემს მენეჯერზეა დამოკიდებული. ის ამ კვირაში უნდა შეხვდეს „დერბის" მწვრთნელსა და ხელმძღვანელებს. მენეჯერი უუფლებო იქნება, მოლაპარაკება სხვა კლუბთან აწარმოოს, თუ ეს „დერბის" უფროსობამ არ იცის. მგონია, რომ ისინი ჩემი სხვა გუნდში გადასვლის წინააღმდეგნი არ უნდა იყვნენ. ვნახოთ, ეს საკითხი, ალბათ, უახლოეს დღეებში გაირკვევა. თანაც უკვე დროა, მენეჯერმა მოლაპარაკებები დაიწყოს, იანვრამდე რაღა დარჩა, თვენახევარი. თუმცა არც ისაა გამორიცხული, ბრიტანულმა კლუბებმა მიმიწვიონ და სხვა გუნდში იანვრამდეც ვითამაშო".

აი, ასეა გიორგი ქინქლაძის საქმეები. გაუგებარია, „დერბის" ახალ მწვრთნელს ჩვენებურთან საუბარიც არ სურს: „ერთხელ უკვე შევცდი, როცა „აიაქსში" მწვრთნელის ნების წინააღმდეგ წავედი და აღარ მსურს, იგივე გავიმეორო. მე კვლავაც მონდომებით ვივარჯიშებ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას ვეცდები და თუ ტოდს არ ვჭირდები, იმედია, ამას ჩემს მენეჯერს მაინც ეტყვის" — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ გუშინ, როცა დერბიში დავუკავშირდით.

**ბოგა ინასარიძე**

# სქოთური საშინელება

## მოჭმული ტერფები კარს უკან



შოთა არველაძე

*„გლაზგო რეინჯერსში" სექტემბერში გადასულმა შოთა არველაძემ ტრავმის გამო ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო თამაში. შოტლანდიურ პრემიერლიგასა და თასის გათამაშებაში ქართველ შემტევს ექვსი გოლი აქვს დაგროვილი. ახლახან მას ინტერვიუ ჩამოართვა „დეილი სოკერმა", რომლის ფრაგმენტებსაც ქვემოთ გთავაზობთ.*

— ჩემ მეუღლესა და ოთხი წლის ვაჟ გიორგის ენატრებათ ამსტერდამი. ჯერ საკმაო ხანს ვფიქრობდი, წავსულიყავი თუ არა ჰოლანდიაში, თუმცა მერე გადავიფიქრე. გიორგის ამსტერდამელი მეგობრები ენატრება, მაგრამ ჩვენი ოჯახი იძულებულია, ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

— ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, რომ როცა შოტლანდიაში გადმოვბარგდი, მაშინ დაუბრუნდა „აიაქსი" ჰოლანდიური ლიგის მწვერვალს ხანგრძლივი ჩავარდნის შემდეგ.

— შოტლანდიაში სრულიად ახალ საფეხბურთო სცენაზე აღმოვჩნდი. მე ახლა ისეთ ლიგაში ვთამაშობ, სადაც მკაცრი ფეხბურთის მიმდევრები არიან.

— ვუყურებ ისეთ შეხვედრებს და ვთამაშობ ისეთ მატჩებში, სადაც, თუ ფრთხილად არ იქნები, შენს ტერფებს კარის ბადის უკან დააწყობენ. აი, ასე საშინლად მოჩანს ყველაფერი ეს, მაგრამ პირველად არ მიწევს ყველაფრის ხელახლა დაწყება. ჩემი კარიერის მანძილზე არასოდეს გამოვიყურებოდი ისე, თითქოს ვარდებით მოფენილ ლოგინში წოლისკენ ვისწრაფვოდი.

— ის შავბნელი დღეები, როცა „აიაქსსა" და ჩემს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, უკან მოვიტოვე. ჯერ მჯეროდა, რომ ამსტერდამელებს მართლა სურდათ ჩემი შენარჩუნება, მაგრამ იმ საუბრების შედეგად, რომლებიც დაუსრულებლად გრძელდებოდა, მივხვდი, რომ ეს მათი ნამდვილი პოზიცია არ იყო. ისინი ბევრს მელაპარაკებოდნენ და ბევრ რამეს მპირდებოდნენ, მაგრამ სურვილებს არ მიკმაყოფილებდნენ.

— თუ შენ ერთი ფუნტი ღირხარ, ოცი არ უნდა მოითხოვო. მე ერთობ რეალურად ვაფასებდი სიტუაციას. სხვა ფეხბურთელებს უკვე ჰქონდათ ის ანაზღაურება, რასაც მე ვითხოვდი. ზოგს მეტსაც კი უხდიან.

— არ მსურს, ჩემი თავი ისეთ ფეხბურთელს შევადარო, როგორიც იარი ლიტმანენია, მაგრამ მას „აიაქსმა" დიდი გაცილება მოუწყო, მე კი იძულებული გავხადა, დამცირებულს დამეტოვებინა კლუბი.

### ინგლისი

II დივიზიონი
გადადებული მატჩები

ბლექპული 2:2 სტოკ სიტი
რედინგი 2:0 რეძჰემი

III დივიზიონი
გადადებული მატჩები

ჩელტენემი 0:0 როვერსი
ჰარტლპული 4:0 ჰალი
შრიუსბერი 3:0 დარლინგტონი

### შოტლანდია

ლიგის თასი. III ეტაპი

სელტიკი 8:0 სტირლინგი

### ჰოლანდია

თასის II ეტაპი

ზვოლე 6:3 ეინდჰოვენი
როზენდალი 3:2 ალკმარი
სიტარდი 2:1 კამბური
ვეენდამი 0:2 ჰერენვენი

### ესპანეთი

II დივიზიონი. XIII ტური

პოლი ეხიდო 1:1 კორდობა

### პორტუგალია

I ლიგა. XI ტური

ბოავიშტა 5:0 ფეირენსე

ფირმების რეგისტრაცია
ოფშორული კომპანიები
რუსეთის ვიზები
მისამართი:
„პირიმზე" მეორე სართული
ტელეფონი: 93-52-34,
877 42-20-59

# დღეს 7 ნოემბერია!

## ქართველი ჭაბუკები 3 გირვანქად

დღეს ინგლისელ 19-წლამდელთა თავკაცი მარტინ ჰანტერი გელა გომელაურის გუნდს იორკის „ბუტემ კრეშდენტის" სტადიონზე დაუხვდება.

ინგლის — საქართველოს მატჩით, რომელიც ჩვენი დროით 23.30 საათზე დაიწყება, გაიხსნება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მეორე ქვეჯგუფში, რომელმაც მეორე შესარჩევ ეტაპზე გამსვლელი გუნდი უნდა გამოავლინოს. ინგლისისა და საქართველოს გარდა, საგაისო მარტ-აპრილში გასამართი ორმატჩიანი პლეი-ოფის საგზურის მოპოვებას უნგრეთიც შეეცდება, რომელიც ჩვენს გუნდს ზეგ, 9 ნოემბერს, ინგლისს კი ტურნირის ბოლო დღეს, 11 ნოემბერს ეთამაშება.

მარტინ ჰანტერის გუნდმა ბოლო ორ ამხანაგურ მატჩში ისლანდიას 2:0 სძლია და რუსეთთან 0:1 დამარცხდა. ინგლისელ 19-წლამდელთა მთავარი იმედი ბენ ბოუდიტჩის, ჯერმან პენანის, ნეილ პრინსის, სტივენ გაურის და ალექს მარტინის ხუთეულია. ეს უკანასკნელი „ჩარლტონ ატლეტიკს" იტალიურ მილანის „ინტერში" ჰყავს განათხოვრებული. დღევანდელ მატჩზე დასწრება ბავშვებისთვის უფასოა, მოზრდილებს კი 3 გირვანქა დაუჯდებათ.

იმ შემთხვევაში, თუ ქართველი 19-წლამდელები ორი წლით უმცროსი ქართველების წარმატების გამეორებას შეძლებენ, გაის მაისს ნორვეგიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად მარტ-აპრილის პლეი ოფში მოუწევთ გარჯა.

ეგაა, სამი ჩვიდმეტწლამდელის, ზაალ ელიავას, ლაშა ჭელიძის და სანდრო იაშვილის დახმარებით ახლანდელივით ველარ ისარგებლებენ, რადგან ამავე დროს კობა ჟორჟიკაშვილის ნაკრებს დანიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე აქვს სათამაშო.

**ვახტანგ მზიკაძე**



ქართველ ცხრამეტწლამდელებს 17 წლის სანდრო იაშვილი (№10) დაეხმარება

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — პირველი ეტაპი — 14 ტური — მიმოხილვა

# უკრაინული ბარაქა და ქართული მარაქა

**მეცამეტე** ჩემპიონატის მეორე ეტაპი დღეს რომ იწყებოდეს, ტორპედოელთა თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი კმაყოფილი იქნებოდა. ჯერჯერობით ზედქსეულში თანავარდობა არ დარღვეულა, თოთხმეტი ტურის შემდეგ აღმოსავლეთის სამ გუნდს ამჟღივე დასავლელი შეწყვილებია.

საბოლოოდ ყველაფერი მომავალი წლის გაზაფხულზე დალაგდება. მანამდე კი, კვირა-ორშაბათს ის ტური გაილია, რომელსაც არანაირი ეჭვი არ გამოუწვევია. გუნდებმა ითამაშეს რაც შეეძლოთ, მონაგარიც დამსახურებულად მიითვალეს.

გაამართლა ტურის ცენტრალურმა მატჩმა. „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“ ბრძოლითა და დაძაბულობით გამოირჩა. ფოთელებმა დაამტკიცეს, რომ თუ მოინდომებენ, თამაში შეუძლიათ. მაშინაც, როცა ძირითადის რამდენიმე მოთამაშე აკლიათ.

ცოცხალი თავით არ სურდა ფილიას გუნდს დამარცხება. თავი არ დაუზოგავთ სტუმრებს, მაგრამ რკინიგზელებმა კოლხთაგან ნაწვნევი ყველა წყენა ერთბაშად გაიხსენეს და თავისი გაიტანეს.

თამაშის ბოლომდე აულებელ ციხესიმაგრესავით იდგა სტუმართა მეკარე მამუკა გვასალია. თითქმის ყველა დარტყმულიც უკუაგდო, მაგრამ კახა გოგიჩაიშვილისა და გიორგი ანჩაბაძის გამჩენებელი სტუმართაგან არავინ გამოჩნდა და აბა, მეკარე რას გახდებოდა.

პრესკონფერენციაზე სოსო ფილია „ტორპედოს“ დაემუქრა (ეს თუ უშველის „კოლხეთს“), თავისიანების თამაშით კმაყოფილება გამოთქვა და წავიდა. ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს კოლხთა დამრიგებელი.

„ლოკომოტივი“ რომ „კოლხეთს“ ასკდებოდა, იმ დროს ჩემპიონს თავისი საქმე თითქმის გაჩარხული ჰქონდა. აბა, „გურია“ „ტორპედოს“ როგორ შეაჩერებდა. სტუმრები იმითაც დაკმაყოფილდნენ, რომ პრესტიჟის გოლი გაიტანეს.

რიონისპირელთა უკრაინელი ლეგიონერი კი მადაზეა მოსული. პოროშინს მიყოლებით გააქვს თავისი წილი გოლები და გაჩერებას არ აპირებს.

ჯერჯერობით არც ისე წყალწაღებულია „სამგურალი“. წყალტუბოელთა უკან კიდევ სამი გუნდია და პოზიციების გამაგრებასაც აპირებდნენ კურორტელები, მაგრამ „სიონმა“ აქამდე მოუხერხებელს მიაღწია.

უმაღლეს ლიგაში ბოლნისელებს 4 ნოემბრამდე წყალტუბოში გოლი ვერ გაეტანათ. კვირას კი მატჩის 23-ე წუთზე შენგელიამ ოციოდ მეტრიდან დაარტყა და ბურთმაც მიზანს უწია. იმ ერთმა ზუსტმა დარტყმამ იკმარა, რათა „სიონს“ ნავსი გაეტეხა. მართალია, მასპინძელმა კახა ჯანაშიამ მეორე ტაიმში ჯარიმიდან წონასწორობა აღადგინა, მაგრამ „სამგურალმა“ სტუმართა მეკარე თეიმურაზ ვოლკოვს მეტი ვერაფერი დააკლო.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა მცხეთური დაპირისპირება. „არმაზზე“ სტუმრად ნაწვევი „მეტალურგი“ თავიდანვე განწირული ჩანდა, მაგრამ გაძლეს ზესტაფონელებმა, ორი ოქროს ქულა დაკარგა „ვიტ ჯორჯიამ“.

ავჭალაში ნასტუმრებ „გორდას“ შეეძლო, ნავსი გაეტეხა, დაემარცხებინა „მერანი“, მაგრამ მაინცდამაინც (რუსთაველთა სამწუხაროდ) კვირას გაიხსენა ახალგაზრდობა აკაკი დევაძემ. მერანელთა გოლკიპერმა ორი ისეთი ბურთი მოიგერია, მომხდურს კი არა, მასპინძელსაც გაოცებისგან პირი დააღებინა. მაშინ „სინათლეზე“ 0:0 იყო.

მეორე ტაიმში ტრადიციამ და „მერანმა“ თავისი საქმე გააკეთეს. გაგუამ, დავითაშვილმა და ბოლქვაძემ სამი ქულა „მერანისთვის“ გააფორმეს.

მეთოთხმეტე ტური „ეროვნულზე“ დასრულდა. „ბათუმს“ ქულა ჯიბეში ეგულებოდა, მაგრამ თითქმის გასახდელისკენ მიმავალ სტუმარს მასპინძელმა გამოაცალა ხელიდან.

„დინამო“ სჯობდა „ბათუმს“ და გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ თამაში მაინც არ გამოვიდა ისეთი, ორივე გუნდის ქომაგები რომ ინატრებდნენ. ათგზის ჩემპიონმა ორივე გოლი სტანდარტული მდგომარეობის გათამაშების შემდეგ შეაგდო. თანაგუნდელთა ჩაწოდების შემდეგ ჯერ ვაშაკიძემ იხეირა, მერე ზირაქიშვილმა.

შედარებით მშვიდობიანი ტური იყო მსაჯებისთვის, თუმც მუქარა და „ტკბილი სიტყვა“ არც ახლა მოჰკლებიათ. თოთხმეტჯერ გაიკრეს ხელი ჯიბეზე არბიტრებმა. თოთხმეტი ყვითელი ბარათი აღიმართა ჰაერში. ზოგან ზოგიერთ ფეხბურთელს თურმე წითელიც ეკუთვნოდა, მაგრამ არ დაუძაბავთ ვითარება მილჩენკოს ბიჭებს.

მეთოთხმეტე ტური მასპინძლებისა იყო. ოთხი მოგება და ორი ფრე მათი უპირატესობის მანიშნებელია. სტუმრებმა ორი ქულა და მეტოქის კარში გატანილი სამი გოლი იკმარეს. სამასუხოდ კი თერთმეტი მიიღეს.

**მამუკა ქვანტალიანი**



„ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“. თბილისელმა გიორგი ანჩაბაძემ (№26) კვირას მეტოქესაც კი მოაწონა თავი

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 8 - | აშვეთია | ტორპედო |
| | ბობოხიძე | დინამო |
| | გაგუა | მერანი |
| | წიჩწიშაძე | კოლხეთი |
| 7 - | დათვაძე | ლოკომოტივი |
| | პოროშინი | ტორპედო |
| 6 - | გოგობერიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | დავითაშვილი | მერანი |
| | იონანიძე | ტორპედო |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |

### სიმბოლური ნაკრები

ვალერი გაგუა — მერანი
ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
დავით ძიძიშვილი — ლოკომოტივი
გიორგი ანჩაბაძე — ლოკომოტივი
ვიტალი დარასელია — დინამო
კახა გოგიჩაიშვილი — ლოკომოტივი
ირაკლი მაღლაკელიძე — მეტალურგი
ზაზა კვეკვესკირი — მერანი
გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
რამაზ სვანაძე — დინამო
აკაკი დევაძე — მერანი

გუნდი: ლოკომოტივი — მწვრთნელი: კახა ცხადაძე

### უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 14 | 11 | 2 | 1 | 36:10 | 26 | 35 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:5 | 14 | 19 | 7 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 12 | 16 |
| 2 | ლოკომოტივი | 14 | 11 | 1 | 2 | 30:8 | 22 | 34 | 7 | 6 | 1 | 0 | 15:3 | 12 | 19 | 7 | 5 | 0 | 2 | 15:5 | 10 | 15 |
| 3 | მერანი | 14 | 8 | 1 | 5 | 26:21 | 5 | 25 | 7 | 6 | 0 | 1 | 18:5 | 13 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:16 | -8 | 7 |
| 4 | დინამო | 14 | 7 | 3 | 4 | 26:12 | 14 | 24 | 7 | 3 | 3 | 1 | 16:6 | 10 | 12 | 7 | 4 | 0 | 3 | 10:6 | 4 | 12 |
| 5 | ბათუმი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:12 | 7 | 22 | 7 | 6 | 0 | 1 | 15:5 | 10 | 18 | 7 | 0 | 4 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 6 | კოლხეთი | 14 | 6 | 3 | 5 | 23:23 | 0 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:10 | 8 | 16 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | -8 | 5 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 14 | 5 | 5 | 4 | 19:16 | 3 | 20 | 7 | 3 | 4 | 0 | 6:3 | 3 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 13:13 | 0 | 7 |
| 8 | სიონი | 14 | 4 | 4 | 6 | 10:20 | -10 | 16 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 13 | 7 | 0 | 3 | 4 | 1:10 | -9 | 3 |
| 9 | სამგურალი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:25 | -15 | 10 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 0 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 2:17 | -15 | 1 |
| 10 | გურია | 14 | 1 | 6 | 7 | 11:24 | -13 | 9 | 7 | 0 | 4 | 3 | 3:10 | -7 | 4 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 5 |
| 11 | მეტალურგი | 14 | 1 | 5 | 8 | 6:27 | -21 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:12 | -9 | 5 | 7 | 0 | 3 | 4 | 3:15 | -12 | 3 |
| 12 | გორდა | 14 | 1 | 4 | 9 | 10:28 | -18 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 4 | 7 | 0 | 3 | 4 | 5:14 | -9 | 3 |

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი ეტაპი — 13 ტური

**ზუგდიდი**
4 ნოემბერი
15.00 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 7 500)

### ლაზიკა 0:1 დინამო 2

0:1 ებრალიძე (74)
კვიტატიანმა (ლაზიკა) ვერ გაიტანა პენალტი (76)
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი), გ. დოგრაშვილი; პ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი)

**წნორი**
5 ნოემბერი
15.00 საათი
ქველი ანაგა
600 (ტევადობა 3 000)

### მილანი 2:2 ქობულეთი

1:0 გამცემლიძე (10), 1:1 კალანდაძე (37), 2:1 გამცემლიძე (85), 2:2 კაკალაძე (89)
მსაჯები: მ. მაისურაძე; დ. ელისაბედაშვილი, დ. ხარიტონაშვილი (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)

**გორი**
5 ნოემბერი
15.00 საათი
ძარწემი
200 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 3:1 მერანი 2

1:0 სომხიშვილი (14), 2:0 ეჯოშვილი (37), 3:0 მარგიევი (49ვ), 3:1 ადუაშვილი (80ვ)
გაძევება: ქირია ( მერანი 2, 87)
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი, გ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი); ა. შილაკაძე (თბილისი)

**გორი**
4 ნოემბერი
15.00 საათი
ცენტრალური
200 (ტევადობა 8 230)

### თორი 0:5 დილა

0:1 ხმალაძე (3), 0:2 საყვარელიძე (5), 0:3 ბ. ჩიტაია (10), 0:4 საყვარელიძე (15), გ. ჩიტაია (25)
30-ე წუთზე მატჩი შეწყდა
მსაჯები: ლ. სილაგავა; კ. თბილელი (ორივე თბილისი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); ი. კახიანი (თბილისი)

**მცხეთა**
5 ნოემბერი
15.00 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

### თსუ 6:0 ხობი

1:0 მერებაშვილი (8), 2:0 ჩოხელი (35), 3:0 შოშიაშვილი (52), 4:0 მერებაშვილი (56), 5:0, 6:0 ჩოხელი (81, 93)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა), ი. ადეიშვილი (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**თბილისი**
5 ნოემბერი
15.00 საათი
საწვრთნელი ბაზა
200 მაყურებელი

### ლოკომოტივი 3 0:0 სამტრედია

მსაჯები: ო. ხეცაძე; ა. ნონიკაშვილი, გ. ვადაჭკორია (სამივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

# შვიდკაცა თურმე ფეხბურთშიც არსებობს

## თორი ბორჯომივით დაილია

**უჩვეულო** ამბავი მოხდა პირველი ლიგის მეთოთხმეტე ტურში. თუმც რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს მწარე რეალობაა. მთავარი მოქმედი პირი, ამჯერადაც ბორჯომის „თორია“. ამ ტურში ბორჯომელები გათამაშების ერთ-ერთ ლიდერ „დილას“ ხვდებოდნენ. თუმც მატჩის 30-ე წუთზე მოედანზე ექვსი ფეხბურთელის ამარა დარჩნენ და, ცხადია, შეხვედრაც შეწყდა. ამ დროისთვის ანგარიში 0:5 იყო „დილას“ სასარგებლოდ. იქნებ გაიფიქროთ კიდეც, საოცარი ამაში რა არის, ხომ შეიძლება, მსაჯმა ერთი გუნდიდან ხუთი ფეხბურთელი გააძევოს და თამაშიც ამის გამო შეწყდესო, მით უმეტეს, ასეთი შემთხვევები ევროპულ ფეხბურთში არაერთხელ ყოფილა. თუმც უნდა გაგაწბილოთ, რამეთუ ამ შეხვედრის მთავარ მსაჯ ლაშა სილაგავას არც ერთი ფეხბურთელისთვის წითელი ბარათი არ აუფრიალებია. საქმე ისაა, რომ ბორჯომის „თორის“ მესვეურებმა (თუკი ასეთი ვინმე „თორს“ საერთოდ შერჩენია) ამ მატჩისთვის... თერთმეტი მოთამაშე ვერ შეაგროვეს(!) და გუნდიც სათამაშოდ შვიდი ფეხბურთელით გავიდა. 30-ე წუთზე კი ბორჯომელ ვასილ ფირცხალავას კუნთი დაეჭიმა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. მთავარი მსაჯი ლაშა სილაგავა და მატჩის ინსპექტორი მერაბ ჭელიძე იძულებულნი გახდნენ, შეხვედრა შეეწყვიტათ.

უკვე მერამდენე ტურია, ბორჯომელები ამტკიცებენ, რომ მათი მონაწილეობა ჩემპიონატში ფორმალობაა. ჯერ ერთი, მათ სამონაწილეო თანხა არ აქვთ გადახდილი, მეორეც — სტადიონის წესრიგში მოყვანა დღემდე ვერ მოუხერხებიათ. ზემოთხსენებული ფაქტი კი ცეცხლზე ნავთის დასხმას ჰგავს.

სავარაუდოდ, „თორის“ საკითხს სადისციპლინო კომიტეტი დღეს განიხილავს და იმედია, მომრავლებულ პრობლემებს წერტილსაც დაუსვამს.

რაც შეეხება მეთოთხმეტე ტურის დარჩენილ მატჩებს: მცხეთაში თსუ-მ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ხობს“ უმასპინძლა და ექვსი უპასუხო გოლით „დაასაჩუქრა“. ამ შეხვედრაში დავით ჩოხელმა ჰეთ თრიქი შეასრულა. ეს 35-ე, 81-ე და 93-ე წუთებზე მოხდა, მანამდე კი ორი გოლის გატანა ერეკლე მერებაშვილმაც მოასწრო. მეექვსედ ხობელთა კარი კახა შოშიაშვილმა დალაშქრა.

გამარჯვება არ გასჭირვებია „ცხინვალსაც“. თბილისის „მერანი 2“-მა მორიგი შეხვედრა დათმო. ცხინვალელთაგან გოლები სომხიშვილმა, ეჯოშვილმა და მარგიევმა მიითვალეს. მატჩის მიწურულს მერანელმა ადუაშვილმა პენალტით პრესტიჟის გოლის გატანალა შეძლო.

ზუგდიდის „ლაზიკამ“ მოულოდნელი მარცხი იწვნია შინ თბილისის „დინამო 2“-თან. მატჩის ერთადერთი გოლი 74-ე წუთზე სტუმარმა ებრალიძემ გაიტანა. თუმც ორ წუთში ზუგდიდელ გელა კვიტატიანს ანგარიშის გასათანაბრებლად მშვენიერი შანსი მიეცა, მაგრამ პენალტის გამოყენება ვერ შეძლო.

წნორში „მილანმა“ გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ქობულეთი“ ვერ დაამარცხა. არადა, 85-ე წუთზე პაატა გამცემლიძის მიერ გატანილი ბურთით 2:1 იგებდა და ხუთიოდ წუთი აშორებდა გამარჯვებასთან, თუმც 89-ე წუთზე სტუმარმა კაკალაძემ ანგარიში გაათანაბრა. მანამდე კი ანგარიში ისევ გამცემლიძემ გახსნა მე-10 წუთზე, ხოლო 37-ზე ზღვისპირელთა ბომბარდირმა ჯუმბერ კალანდაძემ გამოიჩინა თავი.

აუტსაიდერთა დაპირისპირებაში მეტოქეები, „ლოკომოტივი 3“ და „სამტრედია“ ერთმანეთს უგოლოდ და მშვიდობიანად დაშორდნენ.

**კახა შალამბერიძე**

მეთორმეტე ტურის გადადებული მატჩი: თორი — ცხინვალი 2:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 14 | 9 | 3 | 2 | 19:9 | 30 |
| დილა | 14 | 9 | 2 | 3 | 30:8 | 29 |
| თსუ | 14 | 9 | 2 | 3 | 26:9 | 29 |
| მილანი | 14 | 8 | 4 | 2 | 31:11 | 28 |
| ცხინვალი | 14 | 7 | 2 | 5 | 29:20 | 23 |
| ლოკომოტივი 3 | 14 | 6 | 5 | 3 | 21:15 | 23 |
| დინამო 2 | 14 | 6 | 1 | 7 | 12:15 | 19 |
| ლაზიკა | 14 | 5 | 3 | 6 | 16:23 | 18 |
| სამტრედია | 14 | 3 | 4 | 7 | 12:22 | 13 |
| ხობი | 14 | 2 | 6 | 6 | 10:22 | 12 |
| მერანი 2 | 14 | 2 | 1 | 11 | 8:28 | 7 |
| თორი | 14 | 1 | 1 | 12 | 9:41 | 4 |

# ცქიტიშვილი ოროსანია!

„ფრაიბურგი“ შარშანდელ „ფრაიბურგს“ ემსგავსება. უსახური მატჩების მერე, ჯერ „დორტმუნდს“ მოუგეს, მერე „გლადბახს“ დაუზავდნენ და „სენტ გალენი“ გათელეს, ხოლო კვირას „კოტბუსიც“ მოინელეს. ამ აღმავლობაში დიდი წვლილი ქართველებსაც მიუძღვით. მათგან განსაკუთრებით ლევან ცქიტიშვილს გამოვარჩევთ, რომელმაც ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და ეგრევე საუცხოოდ ათამაშდა, „სენტ გალენსაც“ გაუტანა და „კოტბუსსაც“. შესაძლოა, ლევანის თავგამოჩენა მწვრთნელ ფოლკერ ფინკეს „ბრალიც“ იყოს. ბოლო დროს ცქიტიშვილი საყრდენ ნახევარმცველად მოგვევლინა და შეტევებშიც ხშირად ერთვება. ნაკოტბუსევს „კიკერისგან“ ორიანი დაიმსახურა. ასეთი მაღალი შეფასება წლეულს არც ერთ ფრაიბურგელ ქართველს ჰქონია. იმავე „კიკერმა“ ლევანი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა.

საქმე კი ასე იყო. პირველი ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა. მასპინძლებმა საჯარიმო გაითამაშეს და იაშვილმა ახლოდან თავით დაარტყა, მეკარე პიპლიცამ მოიგერია, მაგრამ ქართველმა ბრაზილიელ და სილვას დაასწრო, გამოვარდნილ ბურთს ფეხი შეაგება და თავისიანები დააწინაურა. მეორე ცქიტიშვილმა შეაგდო. ჯამში კი „ფრაიბურგმა“ 3:1 მოიგო. ლევან კობიაშვილს ზედმეტი ყვითლების გამო არ უთამაშია.

რუსეთის უმაღლეს ლიგაში გადადებული მატჩები გაიმართა და „ლოკომოტივმა“ შინ „როსტსელმაშს“ ვერ მოუგო — 0:0. ახლა, ბოლო ტურის წინ, რკინიგზელებსა და „ზენიტს“ თანაბარი ქულები მოუგროვდათ და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. მეორე ადგილი, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრის საგზურს იძლევა, მაგრამ „ლოკომოტივს“ „სპარტაკთან“ მოუწევს ბრძოლა, ხოლო „ზენიტი“ უკვე გავარდნილ „ჩერნომორეცს“ უმასპინძლებს, ასე რომ...

რკინიგზელთა უფროსობა „როსტსელმაშთან“ თავდამსხმელების თამაშით დარჩა უკმაყოფილო, თუმცა ზაზა ჯანაშია მაინც არ ათამაშეს. ზაზა წინა დღეს დუბლიორთა მატჩში „გამოსცადეს“.

პირველ ლიგაში კი შეჯიბრება დამთავრდა და ჯელაძეები-სიჭინავას „ბალტიკა“ ერთი ლიგით დაქვეითდა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 3:1 | 79 | 1 გოლი, შეცვალეს | 12 | 3 | 9 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 3:1 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 11 | 2 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 3:1 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 9 | 1 | 9 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 9 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | კოტბუსი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | შალკე 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 16 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | უნიონი 0:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 6 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | მიდლსბრო 1:5 | 0 | | 7 | 0 | 20 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | იფსვიჩი 2:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | მოზერუელი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 6 |
| | დანდი | შ | დან. იუნაიტედი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 8 | 1 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | შ | მოზერუელი 3:1 | 90 | | 12 | 0 | 6 |
| | დანდი | შ | დან. იუნაიტედი 1:1 | 63 | შეცვალეს | 13 | 0 | 6 |
| თემურ ქეცბაია | დანდი | შ | მოზერუელი 3:1 | 83 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | 6 |
| | დანდი | შ | დან. იუნაიტედი 1:1 | 90 | | 3 | 1 | 6 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | აბერდინი 2:0 | 90 | | 4 | 2 | 2 |
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ტორინო 0:1 | 90 | | 9 | 1 | 5 |
| **იტალია. სერია B** | | | | | | | | |
| დავით დილმელაშვილი | სიენა | შ | პალერმო 1:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 20 |
| ლევან მელქაძე | სიენა | შ | პალერმო 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 20 |
| **ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | ს | ესპანიოლი 2:1 | 0 | | 6 | 1 | 17 |
| **ჰოლანდია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | სპარტა 1:2 | 74 | შეცვალეს | 7 | 0 | 8 |
| **ბელგია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | შარლერუა 1:2 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 11 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | შ | შარლერუა 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 11 |
| **შვეიცარია. უმაღლესი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ქსამაქსი 1:1 | 90 | | 13 | 1 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ქსამაქსი 1:1 | 87 | შეცვალეს | 14 | 9 | 8 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | ლოზანა 2:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **ავსტრია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | გრაცერი 1:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 3 | 0 | 2 |
| **დანია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ აშვეთია | კოპენჰაგენი | ს | ოდენსე 1:1 | 0 | | 3 | 0 | 3 |
| **რუსეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | როსტსელმაში 0:0 | 0 | სათადარიგო | 20 | 2 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | შ | როსტსელმაში 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | ს | ლოკომოტივი 0:0 | 0 | | 4 | 0 | 10 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ლოკომოტივი 0:0 | 0 | სათადარიგო | 2 | -4 | 10 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | შ | ტორპედო 2:2 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | შ | ტორპედო 2:2 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | | ტური გამოტოვა | | | 0 | 0 | 8 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | სპარტაკი 2:2 | 34 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 4 |
| **რუსეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | შ | ლადა 4:2 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 1 | 17 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | შ | ლადა 4:2 | 85 | შეცვალეს | 25 | 0 | 17 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | შ | ლადა 4:2 | 90 | 1 გოლი | 11 | 2 | 17 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | ს | ხიმკი 2:3 | 0 | | 24 | 8 | 10 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | მეტალურგი 2:3 | 55 | შეცვალეს | 14 | 0 | 5 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | შ | არსენალი 1:1 | 0 | | 2 | -2 | 7 |
| **პოლონეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ამიცა 2:2 | 90 | | 14 | 0 | 4 |
| **უნგრეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| კახაბერ ჩხეტიანი | დებრეცენი | ს | ზალაეგერსეგი 1:3 | 0 | | 10 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ლოკ. პლოვდივი 1:1 | 71 | შეცვალეს | 7 | 0 | 12 |
| **კვიპროსი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | კატოკოპიასი 4:0 | 56 | შეცვალეს | 3 | 1 | 7 |
| ლევან მაღრაძე | პაფოსი | შ | ოლიმპიაკოსი 3:2 | 90 | 1 გოლი | 7 | 2 | 12 |
| გიორგი ქორიძე | არადიპუ | შ | ეთნიკოსი ახნასი 0:3 | 90 | | 7 | 3 | 14 |
| გურამ ასპინძელაშვილი | არადიპუ | შ | ეთნიკოსი ახნასი 0:3 | 90 | | 6 | 0 | 14 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 0 | | 15 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 2 | 2 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 90 | 1 გოლი | 22 | 20 | 2 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 0 | | 23 | 5 | 2 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 1 | 2 |
| თამაზ პერტია | რიგა | ს | ვენტსპილსი 0:3 | 0 | | 12 | 1 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# შვილი კარლო, მამა კარლო, მწვრთნელი კარლო

## პრემიერ-მინისტრმა იმპერატორი დაითხოვა

*ჯერ წელიწადიც არ არის, რაც კახა კალაძე „მილანის“ ფეხბურთელია და უკვე მეოთხე მწვრთნელის ხელმძღვანელობით მოუწევს თამაში. მოგეხსენებათ, კვირას ტურინში წაგების შემდეგ „მილანის“ პატრონმა, იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ ფატიჰ თერიმი გაათავისუფლა და მისი მაგივრობა ამავე გუნდის ყოფილ ფეხბურთელს კარლო ანჩელოტის სთხოვა, რომელიც ბოლოს „იუვენტუსს“ წვრთნიდა.*

*სერია A-ს მიმდინარე სეზონის დაწყება და „მილანის“ თურქი მწვრთნელის კრიტიკაც ერთი იყო. უკვე პირველივე ტურში ნათამაშევი ფრის შემდეგ ალაპარაკდნენ თერიმის მოხსნაზე. საბოლოოდ თურქმა „იმპერატორმა“ მილანური კლუბის სათავეში ცხრა ტური გაძლო და იქაურობას დაემშვიდობა. ამბობენ, „მილანის“ რამდენიმე ფეხბურთელთან მის ურთიერთობას სახარბიელო არ ეთქმოდაო.*

*რას ფიქრობს მწვრთნელის ცვლილებაზე* ***კახა კალაძე****? რა იყო თერიმის გათავისუფლების მიზეზი? რა კაცია მისი სეხნია ანჩელოტი (კახა ხომ საბუთებით კარლო კარლოს ძეა)? ამ კითხვებზე ქართველმა მილანელმა გუშინ გვიპასუხა.*

— თერიმი რომ მოხსნეს, წუხელ შევიტყვე. ამჟამად მილანში არ ვიმყოფები, მწვრთნელის შეცვლის ამბავიც ერთ-ერთი თანაგუნდელისგან გავიგე — გვითხრა კახამ — „ტორინოსთან“ მატჩის შემდეგ მილანში არ დავბრუნებულვარ.

**— თერიმის მოხსნის მიზეზი მხოლოდ შედეგია, რამაც „მილანის“ ხელმძღვანელობა არ დააკმაყოფილა?**

— ვერაფერს ვიტყვი, ალბათ, ასეა. არა მგონია, თერიმი სხვა მიზეზით გაეთავისუფლებინათ. ცხრა მატჩში ორი წაგება მწვრთნელს არ აპატიეს. ესეც რომ არა, გუნდის თამაშის ხარისხი არ მოსწონდათ.

**— ახალ მწვრთნელს როდის შეხვდები?**

— ხვალ ვიკრიბებით და ანჩელოტისაც, ალბათ, ხვალვე გაგვაცნობენ.

**— აქამდე თუ გქონია რაიმე ურთიერთობა მასთან?**

— არანაირი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ადრე „მილანში“ თამაშობდა და წინა სეზონში „იუვენტუსს“ წვრთნიდა.

**— შენთვის აქვს რაიმე მნიშვნელობა მწვრთნელის ცვლილებას?**

— მე ჩემი საქმე ვიცი — უნდა ვითამაშო და მწვრთნელს, თერიმი იქნება თუ ანჩელოტი, თავი მოვაწონო, ისე კი, რა თქმა უნდა, ჯობს, უფრო მცოდნე მწვრთნელი გყავდეს.

**— თავად როგორ ფიქრობ, ანჩელოტი თერიმზე მცოდნეა?**

— დრო გვიჩვენებს. ხომ ვთქვი, ჯერ ახალ მწვრთნელს არც კი შევხვედრივარ.

**— ამბობენ, თერიმს ფეხბურთელებთან გართულებული ურთიერთობა ჰქონდა, „ტორინოსთან“ მატჩისას შეცვლილი რუი კოშტას ჟესტიც ამაზე მეტყველებსო...**

— შესაძლოა რომელიმე ფეხბურთელთან მთლად კარგი ურთიერთობას მას მართლაც არ ჰქონდა, მაგრამ ეს კონფლიქტს არ ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, მე თერიმთან წმინდა პროფესიული დამოკიდებულება მაკავშირებდა. ის მწვრთნელი იყო, მე — ფეხბურთელი და მის დავალებას ვასრულებდი. არა მგონია, ის ჩემი თამაშით უკმაყოფილო ყოფილიყო.

**— „ლაციოსთან“ მატჩის შემდეგ რომ იყო შენს სხვა გუნდში გაშვებაზე ლაპარაკი?**

— ეს ზოგადად, ადრეც ხომ ვთქვი, ჩემს ერთ ინტერვიუს გამოაბეს კუდი. თერიმის მწვრთნელობის წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ.

**ქობა ინასარიძე**




მილანელ კახა კალაძეს (№13) მეოთხე მწვრთნელი მიუვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აქა ამბავი ფათიჰ ზრდილობიანის გათავისუფლებისა ანუ კარლოს დაბრუნება

*ჟურნალისტური წესია: წერილის თემა თავშივე უნდა ჩანდეს. ჩვენ, ცხადია, წესს არ დავარღვევთ და ვიტყვით, რომ ქვემოთ „მილანის“ მწვრთნელის თანამდებობიდან თურქი ფათიჰ თერიმის მოხსნასა და მის ადგილას კარლო ანჩელოტის დანიშვნაზე ვისაუბრებთ.*



ფათიჰ თერიმმა „სან სირო“ დატოვა

**ახლა კი,** როდესაც თემა ცნობილია და ვისაც „მილანის“ არაფერი აინტერესებს და ეს გვერდი უკვე გადაფურცლული აქვს, შორიდან მოვუაროთ. ამ სამი-ოთხის წლის წინათ ანუ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში, მაშინ „ინტერის“ დღეს კი „ულინეზეს“ ინგლისელმა მწვრთნელმა, როი ჰოჯსონმა განაცხადა, ის, ვისაც გუნდის შესაქმნელად დრო სჭირდება, იტალიაში სამუშაოდ არ უნდა ჩავიდესო.

ერთი სიტყვით, მწვრთნელები ორ კატეგორიად იყოფიან: ისინი, ვინც გუნდში მისვლისთანავე ქულების დაგროვებას იწყებენ და ისინი, ვინც თავიდან თამაშს-თამაშზე აგებენ, მაგრამ მერე ისეთ გუნდს აკეთებენ, ყველას და ყველაფერს რომ თელავს. კაცმა რომ თქვას, არის მესამე კატეგორიაც — ისინი, ვინც ვერც უმალ იგებენ და ვერც ერთი ხნის შემდეგ, ოღონდ ამჯერად მათზე ნურაფერს ვიტყვით.

ჩვენი აზრით, თურქი ფათიჰ თერიმი მეორე კატეგორიას განეკუთვნება. ის, რომ ამ სპეციალისტს ძალიან ლამაზად მოთამაშე ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება ხელეწიფება, ვფიქრობთ, დამტკიცებულია. გავიხსენოთ „გალათასარაი“ და თუნდაც „ფიორენტინასა“ და „მილანის“ ცალკეული თამაშები, მაგრამ ვაი, რომ სწორედ ცალკეული.

„მილანი აცხადებს, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლა ფათიჰ თერიმი, რომელსაც გაწეული სამუშაოსთვის მადლობას უხდის და გუნდის ხელმძღვანელობას კარლო ანჩელოტის 2004 წლის 30 ივნისამდე აბარებს“ — წერია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

სხვათა შორის, იმავ განცხადებაში წერია ისიც, რომ თურქისა და „მილანის“ გაყრა ფრიად მეგობრული აქცია გახლდათ:

„მილანი“ და თერიმი ჩინებული ურთიერთობით დასცილდნენ ერთმანეთს, როდესაც მწვრთნელმა შეიტყო, რომ თანამდებობიდან გ...ავისუფლებულია, წესიერი, ზრდილი რეაქცია ჰქონდა, ახლა კი გუნდის ცხოვრებაში ახალი თავი იწყება, რომელიც მის ყოფილ წევრთან, კარლო ანჩელოტისთან იქნება დაკავშირებული“.

ერთადერთი, რაც განცხადებაში არ წერია, ის გახლავთ, რომ თერიმმა სამსახურიდან მოხსნის შესახებ სტამბოლში შეიტყო, სადაც რაღაც ბიზნესსემინარზე ბრძანდებოდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა. „ტორინოსთან“ დამარცხების შემდეგ გაზეთებში დაიწერა — „მეფე შიშველია“, რაც თურქისთვის უკვე ყველაფერს ნათელს ხდიდა.

თუ კარგად გავიხსენებთ, ანჩელოტის „მილანში“ მიყვანაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ივნისში დაიწყო, როდესაც იგი „იუვენტუსმა“ დაითხოვა და მის ნაცვლად მარჩელო ლიპი დანიშნა. ამის შემდეგ უმუშევარი ანჩელოტის აჩრდილი ავისმომასწავებლად დადიოდა მთელ იტალიაში და უპირველეს ყოვლისა „სან სიროს“ ტრიბუნებზე, თუმცა კვირას „პარმას“ პრეზიდენტმა ტანციმ მუქი ფერები თითქოს გააბაცა. მან თქვა, რომ ანჩელოტის ცოტა ხნის წინ მოხსნილი რენცო ულივიერის ნაცვლად უპირებდა მიწვევას, მაგრამ ამის გაგონებაზე, თურმე „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დაფაცურებულა და... შედეგს თავად ხედავთ. ცნობისთვის: გალიანი ის კაცია, რომელიც ორჯერ მხურვალედ ამოუდგა თერიმს მხარში და განაცხადა, რომ თურქს კლუბის ხელმძღვანელობის სრული მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

ახლა კი ანჩელოტიზე: კარლო ანჩელოტი 42 წლისაა. ფეხბურთელობისას იგი „მილანსა“ და იტალიის ნაკრებში თამაშობდა. გეხსომებათ, 1994 წელს, აშშ-ში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, არიგო საკისეულ „სკუადრა ატურაში“, რომელიც ვიცე-ჩემპიონი გახდა, მეორე ნომერი სწორედ ის გახლდათ. ერთი სიტყვით, მისი მსოფლმხედველობა თავიდან ბოლომდე საკის ჩამოყალიბებულია და აკი ერთ-ერთ ადრეულ ინტერვიუში საკი ამბობდა კიდეც, ჩემს ხელში გავლილ ფეხბურთელთაგან მწვრთნელობას ოთხი კაცი შეძლებს: ანჩელოტი, მაურო ტასოტი, მარკო ვან ბასტენი და რუუდ გულიტიო. ამათგან ანჩელოტიმ მოძღვარს ნამდვილად გაუმართლა იმედი. მაურო ტასოტი ჯერჯერობით ჩრდილშია — „მილანში“ ახალგაზრდულ გუნდს უდგას სათავეში, მარკო ვან ბასტენს ფეხბურთის გაგონებაზე, თუ არ ვცდებით, ტანში აზანზარებს, ხოლო რუუდ გულიტმა „ნიუკასლში“ ეროტიკული ფეხბურთის პროპაგანდა დაიწყო და როდესაც ჰკითხეს, ეს რა არისო, თანამდებობიდან გადადგა, რათა ცოლად იოჰან კრუიფის ძმისშვილი მოეყვანა.

თუმცა, ნუ გადავუხვევთ და ანჩელოტის დავუბრუნდეთ. ჩვენი აზრით, ანჩელოტი ერთობ მხაზველ მწვრთნელთა კატეგორიას განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სქემებს ამუშავებს და თუ მას ვერ მოერგო, პელესა და მარადონასაც არ აიყვანს. ფაქტები: „პარმაში“ მუშაობის დროს მან რობერტო ბაჯოს შეძენაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ დაუშვათ, ბაჯოსთვის ხელის კვრა იტალიაში მოდაშია, „იუვენტუსში“ მუშაობის დროს ზინედინ ზიდანის ჯანლუკა ძამბროტას დონემდე შეზღუდვას რაღა ახსნა ჰქონდა?

თუმცა, ეს სხვაა, გუნდის სიძლიერე კი სხვა. ფაქტია, ანჩელოტი ყველგან ძლიერ გუნდს აყალიბებს. გახსოვთ, რატომ მოხსნეს „იუვენტუსის“ თავკაცობიდან? იმიტომ, რომ ორი სეზონის განმავლობაში ჩემპიონი ვერ გახდა, მეორე ადგილზე გადიოდა. ახლა საკითხი ასე შემოვატრიალოთ: მოდით, ამ ორი სეზონის განმავლობაში „იუვენტუსის“ დაგროვებული ქულები დავაჯამოთ და შევადაროთ ჩემპიონების, „ლაციოსა“ და „რომას“ ქულების ჯამს. გამოვა, რომ „ლაციო“ და „რომა“ ტურინელებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

და... თუმცა დანარჩენი ვნახოთ.

**ბაჩუნა ძიდია**



კარლო ანჩელოტიმ და ადრიანო გალიანიმ ხელი ხელს დაჰკრეს



REUTERS

ჩვეულებრივი კადრი: ფეხნატკენი რონალდო მოედნიდან გადის

# რას მერჩი, ლეჩე?

**„სან სირო“** მის დაბრუნებას ელოდა. გულშემატკივრებმა უამრავი სხვადასხვა შინაარსის პლაკატი მოამზადეს. მაგალითად: „რონალდო, ფეხბურთი შენით ნათდება“, ან „დაბრუნდი, რათა იფრინო“. ასეთი განწყობა სუფევდა „ინტერი“ — „ლეჩეს“ შეხვედრის წინ. ფოტორეპორტიორები მხოლოდ ბრაზილიელს დასდევდნენ, ისევე, როგორც ტელეკამერები, ხოლო კომენტატორების ერთადერთი სალაპარაკო თემა რონალდო იყო.

მატჩის დაწყებისთანავე იგი ბურთს შეეხო თუ არა, ტრიბუნებზე ღრიანცელი ატყდა, „კიჟას“ აშკარად ემჩნეოდა, რომ ასეთი ყურადღების გამო ერთგვარ ზეწოლასაც კი განიცდიდა. მე-16 წუთზე კი მოხდა ის, რისიც მილანელ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ეშინოდათ. რონალდომ მოედნის კიდესთან მიირბინა და... ისევ ექიმთა ხელში აღმოჩნდა. შემდეგ სკამზე გადაინაცვლა და მისთვის მატჩიც დასრულდა.

ბრაზილიელი მეგოლის სახეზე ტკივილს და სასოწარკვეთილებას ამოიკითხავდით. იმ წუთას „სან სიროზე“ შეკრებილთ ერთადერთი რამ აინტერესებდათ — რა მოხდა? მოგვიანებით გაირკვა, რომ ფეხბურთელს კუნთი მსუბუქად დაეჭიმა. თუმცა არა მარტო ეს — მასზე გადამეტებულმა ყურადღებამაც უარყოფითად იმოქმედა. როდესაც იგი გასახდელისკენ გაემართა, თქვა: „ახლა შემიძლია ვთქვა, რომ ყველანაირი ტრავმა მიმიღია, თუმცა ჩემი დაბრუნება შეცდომა ნამდვილად არ ყოფილა. ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო“.

გუნდის ექიმი ფრანკო კომბი იმედიანადაა და აცხადებს, სერიოზული არაფერიაო. იგი ირწმუნება, რომ რონალდო მალე დაბრუნდება, თანაც სრულიად ჯანმრთელი.

ექიმები სულ ასე კი ამბობენ, მაგრამ ფაქტები სხვა რამეს გვეუბნება: გასული ორი წლის განმავლობაში რონალდო სამჯერ შეცვლაზე შევიდა, ხოლო ძირითადში ერთხელ ითამაშა, ისიც 16 წუთის განმავლობაში. ამ ოთხ მატჩში სამჯერ ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფეხბურთელმა პირველი ტრავმა სწორედ ორი წლის წინ, 21 ნოემბერს, „ლეჩესთან“ იმ მატჩში მიიღო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პარმა: ალტერნატივა პასარელა და ალტერნატივა სექსი

**„პარმამ“** წინა კვირაში მწვრთნელობიდან რენცო ულივიერი გაათავისუფლა და მის ადგილას ახალგაზრდული გუნდის თავკაცი პიეტრო კარმიჯანი დანიშნა. მაშინვე ითქვა, კარმიჯანის დიდხანს არ გააჩერებენ, რაკილა „პარმა“ ამბიციური გუნდია და უფრო სახელიანი მწვრთნელი სჭირდებაო. ისე აგიხდეთ ყველაფერი.



დანიელ პასარელა პარმელებს შეუძახებს

გუშინ „პარმამ“ გამოაცხადა, რომ გუნდს მომდევნო ორ წელიწადს არგენტინელი დანიელ პასარელა უხელმძღვანელებს. კონტრაქტის პირობები შეთანხმებულია, ხელმოწერა კი დღეს შედგება. აქვე შევახსენებთ, რომ პარმელები კარლო ანჩელოტის უმიზნებდნენ, მაგრამ ის „მილანმა“ გადაიბირა და ამათ პასარელა შეატოვა.

არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ვინაც 1978 წელს მსოფლიო თასი აღმართა, ბოლოს ურუგვაის ნაკრებში მუშაობდა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ამ შესარჩევი ციკლის შუაში მიატოვა. მწვრთნელობაში სახელი კი იმით გაითქვა, რომ გუნდებში გრძელთმიანებს, საყურეებიანებს და ჰომოსექსუალისტებს არ აჭაჭანებდა.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისე ჩანს, ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერიდან" შერცხვენილი წავა

## ინგლისი

### ლიგის თასი. II ეტაპი

**არსენალი 4:0 მანჩესტერ იუნ.**

1:0, 2:0, 3:0 ვილტორდი (15, 31პ, 45), 4:0 კანუ (66პ)

არსენალი: რაიტი, გრიმანდი (ინამოტო 86), სტეპანოვსი, ტავლარიდისი, ლუჟნი, პარლოუ, ვან ბრონკჰორსტი (ჰელსი 50), ედუ, პენანტი (რიკეტსი 72), ვილტორდი, კანუ

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მანჩესტერ იუნაიტედი: ქეროლი (ვან დერ გოუ 47), უოლვორკი (კლეგი 80), ფ. ნევილი, როჩი, ოშა, სტიუარტი, ჩედვიკი, ჯორდიჩი (ნარდიელო 71), იორკი, დევისი, ვებერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ედუ, პარლოუ, ლუჟნი, ჰელსი, უოლვორკი

გაძევება: ჰელსი (72)

მსაჯი: რილი

30 693 მაყურებელი

# ჩემი შენ, შენი მე, ორივესი სერ ალექსს!

„ლივერპულთან" წაგებიდან მეორე დღეს „მანჩესტერ იუნაიტედმა" სათასო მატჩი ჩაატარა ლონდონის „არსენალთან" და კიდევ უფრო სამარცხვინო ანგარიშით — 0:4 დამარცხდა. ისე, საინტერესოა, კენჭისყრამ ეს ორი დიდი კლუბი ლიგის თასის ასე ადრეულ ეტაპზე როგორ გადაჰყარა ერთმანეთს.

ახლა „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობას ჩავხედოთ. გამოგიტყდებით, რომ რაიმონდ ვან დერ გოუს (რომელიც შეცვლაზე შევიდა), ფილ ნევილის, ლუკ ჩედვიკისა და დუაიტ იორკის გარდა სასტარტო შემადგენლობიდან სხვათა სახელები ან არ მსმენია, ანაც სადღაც შემთხვევით მომიკრავს ყური. ალბათ, ეს არის უპირველესი მიზეზი იმისა, რომ შედარებით ძლიერი შემადგენლობით მოთამაშე „არსენალმა" იოლად დასცა ბეჭებზე ჩემპიონი.

სილვენ ვილტორდმა კი თავის არსენალურ კარიერაში პირველი ჰეთ თრიქი შეასრულა და ლონდონელები უორთინგტონის თასის მეოთხე ეტაპზე გავიდნენ, სადაც მათი მეტოქე ქვედალიგელი „გრიმსბი" იქნება.

„იუნაიტედის" თავკაცმა სერ ალექს ფერგიუსონმა მარცხის შემდეგ თავის მართლება ასე სცადა: „პირველი და მესამე გოლი უფრო თამაშგარეს ჰგავდა. ვერც პირველი პენალტის სისწორეზე დავდებდი თავს".



მატჩის გმირმა სილვენ ვილტორდმა როი ქეროლი ბავშვივით გააპამპულა

„არსენალისთვის" კი გამარჯვება სასახელო იმითაც არის, რომ მათ ათი ფეხბურთელით ჩაამთავრეს თამაში, რადგან თავის სადებიუტო მატჩში ჰელსი გააძევეს მინდვრიდან. პირველი გაფრთხილება მან მაშინ მიიღო, როცა ბურთი ნერვიულად გასტყორცნა საითლაც, შემდეგ კი მანჩესტერელ რონი უოლვორკთან კინკლაობისთვის იხილა წითელი ბარათი. ეს გამოდგა მეექვსე არსენალელის გაძევება ამ სეზონში.

თუ „იუნაიტედის" რაიმე შანსებზე შეიძლება ლაპარაკი, დენი ვებერისა და დუაიტ იორკის შეტევებზე უნდა ითქვას, თუმცა ხელსაყრელი მომენტი ერთმაც ვერ გამოიყენა.

„არსენალმა" კი ორი პენალტი დაარტყა — ერთი კანუს წაქცევისთვის, მეორე — ვილტორდისა. თერთმეტმეტრიანები თავად დაზარალებულებმა შეასრულეს, ოღონდ კანუს წაქცევისთვის დანიშნული ვილტორდმა დაარტყა, ხოლო ვილტორდზე დადებული — კანუმ.

**ნიკა ჩუგლაძე**

### 1/8 ფინალის წილისყრა

ლიდს იუნაიტედი — ჩელსი; ასტონ ვილა — შეფილდ უენსდეი; ფულემი — ტოტენჰემ ჰოთსპური; ბლეკბერნ როვერსი — მანჩესტერ სიტი; არსენალი — გრიმსბი; ბოლტონ უონდერერსი — საუთჰემპტონი; უოტფორდი — ჩარლტონ ატლეტიკი; ნიუკასლ იუნაიტედი — იფსვიჩ თაუნი

*მატჩები გაიმართება 26-27 ნოემბერს*

# კლასიკოსთა აზრები

## REAL VS BARCELONA ნასადილევს

**წინა კვირას** პრიმერადივიზიონში „რეალმა" „ბარსელონას" უმასპინძლა. ამათი ყოველი დაპირისპირებისადმი ინტერესი რახანია, გასცდენია ესპანეთის საზღვრებს. „რეალისა" და „ბარსელონას" ბოლო მატჩის მიმოხილვას, გუშინ რომ შემოგთავაზეთ, უპრიანია, ესპანური პრესისა და თავად ფეხბურთელების გამოხმაურებაც მოვაყოლოთ. მაშ ასე, 4 ნოემბერი, დიდებული „სანტიაგო ბერნაბეუ", „რეალი" — „ბარსელონა", კასტილია — კატალონია, ვნება და ემოცია...

„ელ პაის": „რეალმა" სავსებით დამსახურებულად მოიგო, თუმცა „ბარსელონა" მცირეოდენ უპირატესობას ფლობდა. ბრწყინვალედ ითამაშა ზინედინ ზიდანმა, რომელსაც გვერდით სტივ მაკმანამანი ედგა. რაც შეეხება რივალდოს, მას მინდორზე თავისი სიტყვა არ უთქვამს".

„ელ მუნდო": „სამწუხაროა, ამ მატჩმა მხოლოდ იმედგაცრუება მოგვიტანა. ისეთი ფეხბურთელებისგან, როგორებიც რაული, ფიგუ, ზიდანი, რივალდო და კლუივერტი არიან, სავსებით საფუძვლიანად ველოდით ჯადოსნურ თამაშს. მაგრამ რა ვნახეთ? კუნთების არაესთეტიკური ბრძოლა".

„მარკა": „მადრიდს თავისი გუნდის გამარჯვებისა სწამდა, ბარსელონას კი არა. რეალელები იმ განწყობით გავიდნენ სათამაშოდ, რომ აუცილებლად მიეთვალათ სამი ქულა, რაც მოახერხეს კიდეც. ლუიშ ფიგუმ ღირსეულად აღნიშნა საკუთარი დაბადების დღე".

„ასი": „ეს მაკმანამანის მატჩი იყო. მაკა თამაშობდა თავისთვის და მთელი გუნდისთვის. „ლივერპულის" სკოლიდან მოსულს შეუძლია, ძალა მოიკრიბოს და ბრწყინვალე შოუ მოაწყოს. დიდებული იყო ზიდანიც, თავისი ზუსტი და ჭკვიანური პასებით მან არაერთხელ აურია თავგზა მეტოქის დაცვას".

შეამჩნევდით, რომ ოთხი ყველაზე პოპულარული ესპანური გაზეთი ამ მატჩს სულ სხვადასხვაგვარად აფასებს. ზოგს მაკმანამანი მოსწონებია, ზოგს ზიდანი, ზოგს ფიგუ, ზოგს კი არავინ. ალბათ, ისიც შენიშნეთ, რომ მადრიდული „მარკა" ლუიშ ფიგუს დაბადების დღეს ახსენებს. გაზეთი არ ცდება — იმ დღეს, 4 ნოემბერს, პორტუგალიელს 29 წელი შეუსრულდა.

„გოლის გატანა, ცხადია, ძალიან გამიხარდა — თქვა იუბილარმა — მაგრამ მთავარი გუნდის ბრწყინვალე თამაშია. ჩემს თანაგუნდელებს მადლობას ვუხდი თავდადებისთვის და ლამაზი თამაშისთვის".

ეს კი მადრიდელთა კაპიტნის, ფერნანდო იეროს სიტყვებია: „ბარსელონას" დამარცხება, უპირველესად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. ახლა მთავარია, აღებულ გეზს არ გადავუხვიოთ და მომდევნო ტურშიც, სარაგოსაში, გავიმარჯვოთ".

ფერნანდო მორიენტესი, პირველი გოლის ავტორი: „მეტოქესაც უნდა დავუფასოთ გარჯა. „ბარსელონა" ცალკეულ ეპიზოდებში საკმაოდ კარგად აკონტროლებდა მოედნის ცენტრს და მწარედ იკბინებოდა, მაგრამ არც ჩვენ ვთვლემდით. პირველმა გოლმა კი ჩვენი საბრძოლო შემართება განამტკიცა".

გამარჯვებაში თავისი წვლილი იკერ კასილიასმაც შეიტანა, რომელსაც რამდენიმე რთული ბურთის მოგერიება მოუხდა: „ვფიქრობ, მაყურებელს არ მოუწყენია, რადგან სახიფათო მომენტები ორივე კართან საკმაოდ შეიქმნა. ჩვენი გამარჯვება კი სავსებით კანონზომიერი და დამსახურებულია".

მადრიდელთა მარჯვენა მცველი მიჩელ სალგადო ის კაცია, ვინაც საიმედოდ ამოკეტა მარკ ოვერმარსი: „ახლა „ბარსელონას" სულ რაღაც სამი ქულით ჩამოვრჩებით. თუ ასე გავაგრძელეთ, ჩემპიონობასაც მოვიპოვებთ. რატომაც არა?"

ახლა კატალონიელთა განწყობაზეც ვთქვათ. სტუმართაგან კი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გაბრი იყო, ვისაც ამ სეზონში პეპ გვარდიოლას შეცვლა დაევალა: „პირველი ტაიმი მთლიანად ჩვენი იყო, ამდენად, გაშვებულმა ბურთმა სრულიად გაგვაოგნა. შესვენების მერე გაქვითვაზედა ვფიქრობდით და დაცვა მოვაშიშვლეთ, შედეგად კი მეორე გოლი მივიღეთ".

| პამესა | 7 | 4 | 3 | 550:532 | 11 |
| ფუენლაბრადა | 7 | 4 | 3 | 522:535 | 11 |
| ლეჩე | 7 | 4 | 3 | 540:570 | 11 |
| ხუვენტუდი | 7 | 3 | 4 | 603:600 | 10 |
| გრანადა | 7 | 3 | 4 | 588:592 | 10 |
| სან ფერნანდო | 7 | 3 | 4 | 546:554 | 10 |
| ლეიდა | 7 | 3 | 4 | 552:592 | 10 |
| ხირონა | 7 | 3 | 4 | 527:569 | 10 |
| კასერესი | 7 | 3 | 4 | 557:633 | 10 |
| ტაუ | 6 | 3 | 3 | 443:389 | 9 |
| ესტუდიანტესი | 7 | 2 | 5 | 514:515 | 9 |
| კანარიასი | 7 | 2 | 5 | 473:515 | 9 |
| ხიხონი | 7 | 1 | 6 | 565:595 | 8 |
| კანტაბრია | 6 | 1 | 5 | 458:521 | 7 |

## იტალია

IX ტური

**იმოლა — ბენეტონი 85:107, კინდერი — აველინო 96:72, რომა — ბიელა 82:77, სნაიდერო — სკიპერი 83:93, მიულერი — სკავოლინი 82:90, ადეკო — ვიოლა 104:76, კანტუ — როზეტო 91:81, ლივორნო — ვარეზე 92:91, ფაბრიანო — ტრიესტი 72:81**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 9 | 9 | 0 | 846:679 | 18 |
| სიენა | 8 | 8 | 0 | 703:591 | 16 |
| კინდერი | 8 | 8 | 0 | 681:579 | 16 |
| კანტუ | 9 | 7 | 2 | 718:664 | 16 |
| სკიპერი | 8 | 6 | 2 | 683:616 | 14 |
| ფაბრიანო | 9 | 5 | 4 | 734:738 | 14 |
| ტრიესტი | 8 | 5 | 3 | 628:624 | 13 |
| სნაიდერო | 9 | 4 | 5 | 751:723 | 13 |
| იმოლა | 9 | 4 | 5 | 669:706 | 13 |
| ბიელა | 9 | 4 | 5 | 734:789 | 13 |
| სკავოლინი | 8 | 4 | 4 | 652:647 | 12 |
| ვარეზე | 9 | 3 | 6 | 808:810 | 12 |
| რომა | 9 | 3 | 6 | 679:685 | 12 |
| ადეკო | 9 | 3 | 6 | 721:739 | 12 |
| მიულერი | 9 | 2 | 7 | 704:746 | 11 |
| აველინო | 8 | 2 | 6 | 645:699 | 10 |
| ლივორნო | 8 | 2 | 6 | 632:688 | 10 |
| როზეტო | 8 | 2 | 6 | 656:728 | 10 |
| ვიოლა | 8 | 0 | 8 | 568:761 | 8 |

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რა კაცია რაშარდი!

5 ნოემბერი

**ორლანდო 119:123 სიეტლი**

(ძირითადი დრო 100:100)

**ორლანდო: ჰილი (28), მაკგრეიდი (27), არმსტრონგი (17)**
**სიეტლი: ლუისი (36 ქულა, 19 მოხსნა), პეიტონი (32 ქულა, 11 პასი), ბეიკერი (22)**

**კლიპერსი 109:86 ატლანტა**

**კლიპერსი: რიჩარდსონი (20), დულინგი (17), მეჯიტი (16), ბრენდი (13 ქულა, 10 მოხსნა)**
**ატლანტა: მუჰამედი (30 ქულა, 11 მოხსნა), კროუფორდი (14)**



REUTERS

ორლანდო — სიეტლი. პატრიკ იუინგმა (№6) და ბო აუთლოუმ სიეტლელი დესმონდ მეისონი ვერ შეაკავეს

მომქანცველი უქმეების შემდეგ, ორშაბათს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია ძირითადად ისვენებდა, 29 გუნდიდან 25 უქმად იყო.

ორლანდოში იქაურმა „მეჯიქმა" „სიეტლ სუპერსონიქსს" უმასპინძლა და ოთხი თორმეტწუთეულის და კიდევ ორი დამატებითი ხუთწუთეულის შემდეგ, როგორც იქნა, დანებდა. „ორლანდომ" ოთხ თამაშში მეორედ წააგო, „სიეტლმა", პირიქით, მეორედ მოიგო და საკმაოდ ძლიერი მეტოქის დამარცხებით საკუთარი თავის რწმენა გაუძლიერდა.

„ვფიქრობ, დროა, რაშარდი ლიგის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავების გვერდით მოვიხსენიოთ. დღეს მან აშკარად აჯობა მაკგრეიდის. რაშარდი უკვე ბევრად მეტია, ვიდრე კარგი კალათბურთელი" — ასე აქო სიეტლელმა ვინ ბეიკერმა 21 წლის თანაგუნდელი, რაშარდ ლუისი, რომელიც იმ დღეს მოედანზე ყველას სჯობდა, მათ შორის „ორლანდოს" სუპერბიჭუნა ტრეისი მაკგრეიდისაც.

თამაში კი მეტად დაძაბული გამოდგა, რასაც ლიდერის 24-ჯერ შეცვლაც მოწმობს. პირველ ტაიმში „სიეტლი" მძლავრობდა და ერთი ხანობა 12 ქულითაც გაექცა მასპინძლებს. გამარჯვებული კი, მეორე ოვერტაიმის დამთავრებამდე ორიოდ წამით ადრე გაირკვა. მასპინძელმა მაკგრეიდიმ გარღვევაზე ნასროლი ააცილა და 121:119 ანგარიშზე გათანაბრების შანსი დაკარგა. დარჩენილი რამდენიმე წამი კი სტუმარ დესმონდ მეისონს ეყო საიმისოდ, რომ მოედანი გადაეკვეთა და ბურთი ჩაეტენა.

„კლიპერსის" ხულიგანი ლიდერი ლამარ ოდომი კვლავ ჩავარდა დოპინგ-ტესტებზე და ხუთი მატჩით დასვენება გამოიწერა. მისმა გუნდმა კი მაინც იყოჩაღა, შინ „ატლანტა ჰოქსს" იოლად მოუგო და სეზონის პირველი გამარჯვებაც ჩაიწერა.

**ირაკლი ფირცხვილი**

## თურქეთი

# ჯერ დაწყებული არ იყო, დამთავრებული ეგონათ

IV ტური

**ითუ — ბეშიქთაში 82:80, ბუიუქ კოლეჯი — ქარშიაქა 63:73, ფენერბაჰჩე — ტელეკომი 97:102, ეფესი — გალათასარაი 90:74, ოიაქი — თედ კოლეჯი 96:64**

**დარუშაფაკა 78:88 ულქერი**

**დარუშაფაკა: ო. ქაპიაოღლუ (12), იაილო (11), ქოშეოღლუ (18), იენსენი, მ. ქაპიაოღლუ (11), სუნთერი (6), ქორუქი (4), გოქაი (12), ჯონსი (4)**
**ულქერი: ლოლისი (16), ფარსი (2), შტელმახერსი (9), ერდენაი (17), ელი (22), აჩიკი (10), გონლუმი (2), ილდირიმი (8), გიულერი (2)**

**ზაზა ფაჩულია** სათადარიგო იყო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 4 | 4 | 0 | 354:262 | 8 |
| ულქერი | 4 | 4 | 0 | 368:320 | 8 |
| ქარშიაქა | 4 | 4 | 0 | 333:305 | 8 |
| დარუშაფაკა | 4 | 3 | 1 | 325:294 | 7 |
| ოიაქი | 4 | 2 | 2 | 303:278 | 6 |
| ტელეკომი | 4 | 2 | 2 | 361:346 | 6 |
| ითუ | 4 | 2 | 2 | 323:339 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 1 | 3 | 320:317 | 5 |
| ბუიუქ კოლეჯი | 4 | 1 | 3 | 254:300 | 5 |
| ბეშიქთაში | 4 | 1 | 3 | 275:299 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 0 | 4 | 312:372 | 4 |
| თედ კოლეჯი | 4 | 0 | 4 | 295:389 | 4 |

**„ულქერმა"** ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო. ამჯერად ზაზა ფაჩულიას გარეშე მოთამაშე გუნდმა სტუმრად, ცხრილში თავისი მეზობელი „დარუშაფაკა" შეიწირა. ამ გამარჯვებით „ულქერი" მეორე საფეხურზე დამკვიდრდა და „ეფესს" მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება.

აქამდე „დარუშაფაკას" სამ შეხვედრაში ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა. მოსალოდნელი იყო, რომ უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდებოდა, მაგრამ მატჩი, შეიძლება ითქვას, დასაწყისშივე დასრულდა. მიზეზი კი თავად „დარუშაფაკა" გახლდათ. პირველ მეოთხედში მისმა მოთამაშეებმა ჩვიდმეტჯერ ისროლეს და წარმოუდგენელ შედეგს მიაღწიეს — 4(!) ქულა მოაგროვეს. ერთი სამქულიანი ჩააგდეს, ერთხელაც საჯარიმოდან იყოჩაღეს. ეს იყო და ეს, მოედანზე სტუმრები ნავარდობდნენ. იმ დღეს „ულქერს" ტრავმამოშუშებული ბად ელი დაუბრუნდა, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა და საბოლოოდ 22 ქულაც მიითვალა.

შეხვედრის დაწყებიდან დაახლოებით ოთხი წუთის შემდეგ სტუმრები 10:0-ს იგებდნენ. ამას ისიც დაემატა, რომ „დარუშაფაკას" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, ალექსანდერ იენსენი გამოაკლდა. შედეგად მასპინძლები პირველ ათწუთეულში სტატისტების როლში აღმოჩნდნენ. კვადრე ლოლისმა და ბად ელიმ გაილაღეს, რაც ტაბლოზეც აისახა — 27:4 „ულქერის" სასარგებლოდ. ასეთმა სხვაობამ მატჩის დარჩენილი დრო, ფაქტობრივად, ფორმალობად აქცია.

მეორე მეოთხედში გოკჰან სუნთერმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდო და „დარუშაფაკა" ოდნავ გონს მოეგო. მასპინძლებს იმედი მიეცათ, რომ სხვაობა მეტად აღარ გაიზრდებოდა, თანაც, მთელ მოედანზე პრესინგს მიმართეს. ისინი „ულქერის" შეტევების ჩაშლის ხარჯზე სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ასეთმა ტაქტიკამ მათ მეორე ათწუთეულში 17 ქულა მოუტანა და მეოთხედიც მინიმალურად — 22:21 დათმეს. „ულქერის" 49 ქულიდან 31 ბად ელისა და კვადრე ლოლისის ანგარიშზეა.

მესამე ათწუთეული „დარუშაფაკამ" მეორის ანალოგიურად დაიწყო, რადგან პრესინგმა სათანადო შედეგი გამოიღო. მჭიდრო მეურვეობაში „ულქერს" ბურთის გათამაშება ძალიან გაუჭირდა, რასაც ხშირი შეცდომები მოჰყვა. მასპინძლებმა გამართული თამაშის წყალობით სხვაობა თორმეტ ქულამდე დაიყვანეს, თუმცა აქ ჩემპიონმა თავისი სიტყვა თქვა. „ულქერმა" რამდენიმე სწრაფი და შედეგიანი შეტევით მეტოქეს ერთწუთიანი მონაკვეთი 7:0 მოუგო. ჯერ აჩიკმა სამიანი ჩააგდო, შემდეგ კი შტელმახერსმა და ბად ელიმ ფარქვეშ ივაჟკაცეს.

ბოლო მეოთხედის წინ „ულქერი" 72:49 იყო წინ. „დარუშაფაკამ" მეოთხე ათწუთეულში კიდევ ერთხელ გაიბრძოლა, მაგრამ მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე მხოლოდ სხვაობის 12 ქულამდე შემცირება შეძლო. „ულქერს" თავისი გამარჯვება საეჭვო აღარ გაუხდია — 88:78.

„დარუშაფაკას" მწვრთნელმა შერდოღან ერსოზლუმ მატჩის შემდეგ წაგება იმით ახსნა, რომ იენსენმა დებიუტშივე ტრავმა მიიღო, თანაც დაამატა, ასეთი სხვაობის გაბათილება ჩემს გუნდს კი არა, ძლიერებსაც გაუჭირდებოდათო.

„ულქერის" დამრიგებელმა მურათ დიდინმა კი თავისი ბიჭები დაცვაში კარგად თამაშისთვის შეაქო, მაგრამ ახალგაზრდები დატუქსა, მეტი ყურადღება გმართებთო. ბად ელიზე კი თქვა, სრულად რომ მომჯობინდება, გუნდს ძალიან წაადგებაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## საბერძნეთი

VI ტური

**მარუსი — აეკ 79:89, ნიარ ისტი — ირაკლიონი 79:73, პაოკ — იონიკოსი 96:78, დრამა — არისი 89:95, პანათინაიკოსი — დაფნი 105:94, ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 96:91, პანიონიოსი — პერისტერი 77:62**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 6 | 6 | 0 | 547:447 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 5 | 1 | 531:423 | 11 |
| პანიონიოსი | 6 | 5 | 1 | 488:431 | 11 |
| პანათინაიკოსი | 6 | 5 | 1 | 509:457 | 11 |
| ირაკლისი | 6 | 4 | 2 | 435:420 | 10 |
| პაოკ | 6 | 3 | 3 | 481:499 | 9 |
| ირაკლიონი | 6 | 3 | 3 | 497:501 | 9 |
| მარუსი | 6 | 3 | 3 | 510:480 | 9 |
| დრამა | 6 | 2 | 4 | 469:524 | 8 |
| დაფნი | 6 | 2 | 4 | 467:515 | 8 |
| იონიკოსი | 6 | 1 | 5 | 442:495 | 7 |
| პერისტერი | 6 | 1 | 5 | 416:471 | 7 |
| არისი | 6 | 1 | 5 | 443:507 | 7 |
| ნიარ ისტი | 6 | 1 | 5 | 427:492 | 7 |

## საფრანგეთი

V ტური

**ლე მანი — ანტიბი 97:82, პო ორტეზი — დიჟონი 79:63, ტულონი — სტრასბური 81:101, შოლე — ვილერბანი 58:86, ლიმოჟი — ნანსი 73:99, გრაველინი — მონპელიე 71:70, ლე ავრი — ბურგი 86:73, შალონი — რასინგი 75:82**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 5 | 5 | 0 | 392:339 | 10 |
| გრაველინი | 5 | 5 | 0 | 428:390 | 10 |
| ნანსი | 5 | 4 | 1 | 441:402 | 9 |
| შალონი | 5 | 4 | 1 | 379:358 | 9 |
| ვილერბანი | 5 | 3 | 2 | 436:385 | 8 |
| სტრასბური | 5 | 3 | 2 | 422:398 | 8 |
| ლე მანი | 5 | 3 | 2 | 444:422 | 8 |
| შოლე | 5 | 3 | 2 | 398:390 | 8 |
| დიჟონი | 5 | 2 | 3 | 396:396 | 7 |
| რასინგი | 5 | 2 | 3 | 393:398 | 7 |
| ლიმოჟი | 5 | 2 | 3 | 376:403 | 7 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 4 | 371:404 | 6 |
| ანტიბი | 5 | 1 | 4 | 391:429 | 6 |
| მონპელიე | 5 | 1 | 4 | 365:408 | 6 |
| ტულონი | 5 | 1 | 4 | 395:445 | 6 |
| ბურგი | 5 | 0 | 5 | 360:420 | 5 |

ნიუ იორკის მარათონი

# ცალთვალას მარათონი და პონტიაკი

**ნიუ იორკის** მარათონი, ხოლო ამერიკელებისთვის ქვეყნის ჩემპიონატიც, რიგიან ამინდში ჩატარდა. ხოლო მემარათონემ თუ იგრძნო, რომ სიცივისგან კუნთები არ უშეშდება, ან სიცხე სულს არ უხუთავს და არც ქარი ცდილობს მის გზიდან გადაგდებას, ალმაფრენით გარბის ხოლმე. სწორედ ასე მყარდება მარათონის რეკორდები.

ვაჟთა გარბენი კოლექტიური სვლით დაიწყო. ათლეტებმა იცოდნენ, რომ ნიუ იორკში ძლიერი შემადგენლობა მოგროვდა და სტარტზევე თავხედური წინგაჭრა ტაქტიკური სიბეცე იქნებოდა. „კურდღლებიანად“ 15-მა კაცმა გზის ნახევარი 1:03.50-ში ამოწურა და მანჰეტენის პირველი ავენიუს ჩრდილოეთით დუჟინი მემარათონე (უკვე მხოლოდ ფავორიტები) ტაქტიკურ ბრძოლას შეუდგა. პირველი იერიშის შემდეგ კიდევ 8 კაცი ჩამორჩა: მაგალითად, ამავე მარათონების ორგზის და ერთხელ ჩემპიონები — ჯონ კაგუი და ჯოზეფ ჩებეტი. ეთიოპიელი ტესფაიე ჯიფარი, კენიელები იაფეტ კოსგეი და როჯერს როპი, ეკვადორელი სილვიო გერა მარათონის თავში დარჩნენ.

ოთხეულში მორიგი ამბოხი კოსგეიმ მოაწყო, რასაც ეკვადორელი შეეწირა და ბურთი და მოედანი მარათონის მონოპოლისტ აფრიკელებს დარჩათ. შემდეგ შეუტია როპმა, მაგრამ მხოლოდ თვითონ დაზარალდა. კოსგეის კიდევ ერთი შეტევაც და როპი ზურგში დარჩა, პირველობისთვის ბრძოლას ეთიოპი ჯიფარი და კენიელი კოსგეი შემორჩნენ. გამარჯვებული ძნელი გამოსაცნობი არ იყო, რადგან აქამდე ტაქტიკურ ბრძოლაში უპირატესობა ეთიოპიელის მხარეს გახლდათ. კერძოდ, მას არავითარი შავი სამუშაო არ შეუსრულებია, მთელი გზა ლიდერთა ზურგში გარბოდა, ამ დროს კი, ზემოთაც მოგახსენეთ, კოსგეიმ ორი გარღვევა შეასრულა და ბუნებრივია, მეტადაც დაიღალა. 3 მილის სიგრძეზე წყვილად რბენის შემდეგ ჯიფარი მძლავრად გაიქცა და რამდენიმე წამში ყველაფერი ნათელი იყო.

ეთიოპიელმა დისტანციის რეკორდი დაამყარა, სხვა საპრიზო ადგილები კენიელებს დარჩათ. უნდა ითქვას, რომ ჯიფარს მარათონის სამყარო იცნობს (ორი წლის წინ, ამსტერდამის მარათონზე მეორე იყო), მაგრამ პოდიუმის თავში პირველად შედგა. ბავშვობა ეთიოპიის მავან ფერმაში გაატარა და მარჯვენა თვალით ვერ ხედავს, რადგან 11 თუ 12 წლისას ხარმა დაუზიანა. მას სამართლიანად ერგო 80 ათასი დოლარი გამარჯვებისთვის და 50 ათასი პრემია (ტრასის რეკორდიც ამაში შედის). კოსგეიმ 45+20 ათასი მიიღო, როპმა — სულ 50 ათასი. არ დაგვავიწყდეს, რომ ორივე სქესის გამარჯვებულს თითო სიმპათიური „პონტიაკიც“ გადასცეს და ქალთაგან მის სალონში ჩასკუპდა კენიელი მარგარეტ ოკაიო, რომელმაც, ჯიფარის არ იყოს, მეტად სოლიდური ხალხი დაამარცხა.

კერძოდ, ფავორიტებად თვლიდნენ კენიელებსვე — ჯოის ჩეპჩუმბას და სუსან ჩეპკემეის, რუს სვეტლანა ზახაროვას და ლიუდმილა პეტროვას, ვინც აქ შარშან იმარჯვა. ისინი მონდომებით გარბოდნენ გზის პირველ ნახევარში, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, ვაჟებივით დრამატიზმი ქალთა რბოლაში არ შეინიშნებოდა. შუაგზის შემდგომ ოკაიომ შეუტია და ცოტა ხანში მთელი წუთით დაწინაურდა. იყო მომენტი, როცა ოკაიოს უპირატესობამ 2 წუთიც შეადგინა, მაგრამ ზურგიდან რუსმა ზახაროვამ ცოტათი ფეხი გამოილო და საბოლოო სხვაობა თითქმის ნახევარ წუთამდე ჩამოიყვანა. მაგრამ ეს სულ ბოლოს იყო, ამიტომ ოკაიოს გამარჯვებაში კაცი ეჭვს ვერ შეიტანდა. სამაგიეროდ, ბოლო წამამდე ვერ გაირკვა მეორე პრიზიორის ბედი. ზახაროვას გარღვევას მხოლოდ კენიელი ჩეპკემეი გამოეხმაურა და ეს დუეტი გამწარებით იბრძოდა მეტი დოლარების მოსახვეჭად: ქალთა მე-2 ადგილი 50 ათასი დოლარი ღირდა, მე-3 კი — 35 ათასი (20 ათასიანი პრემია ორივეს დაუმატეს). დუელი კენიელმა მოიგო, ხოლო მარათონის გამარჯვებულმა ოკაიომ ყველა სიკეთესთან ერთად (80 ათასი დოლარი და მანქანა) 35 ათასი დოლარის პრემიაც მიიღო — მას ტრასის რეკორდი დაუმყარებია.

**დავით გულუა**



REUTERS ნიუ იორკიდან

ტესფაიე ჯიფარმა და მარგარეტ ოკაიომ ნიუ იორკი ფულით და ტიტულებით სავსეებმა დატოვეს

| ვაჟები |
|---|
| 1. ტესფაიე ჯიფარი (ეთიოპია) 2:07.42; 2. იაფეტ კოსგეი (კენია) 2:09.19; 3. როჯერს როპი (კენია) 2:09.51 |
| **ქალები** |
| 1. მარგარეტ ოკაიო (კენია) 2:24.21; 2. სუსან ჩეპკემეი (კენია) 2:25.12; 3. სვეტლანა ზახაროვა (რუსეთი) 2:25.13 |



მსოფლიოს ჩემპიონატი. ანთალია (თურქეთი)



REUTERS ანთალიიდან

ორიოდ წამში გენადი ალიაშჩუკი შტანგას სარეკორდოდ აჰკრავს

# ანთალიის ფიცარნაგი რეკორდებით დამძიმდა

**როგორც** წესი, ოლიმპიური თამაშების მომდევნო წელს ამა თუ იმ სახეობის წარმომადგენლები დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევიან-ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, ის სპორტსმენები, რომლებმაც ოლიმპიადაზე ასე თუ ისე თავი გამოიჩინეს, სეზონის უმთავრეს ტურნირებზე თავს დიდად არ იწუხებენ და უფრო ხშირად ისვენებენ კიდეც.

ანთალიაში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი კი ამ მხრივ თვალსაჩინოა. თუმცა, შედეგებზე ასეთი რამ ნაკლებად ითქმის. ტურნირის მეორე დღე, პირველის დარად, მსოფლიოს საუკეთესო შედეგით დასრულდა.

ბულგარელმა გენადი ალიაშჩუკმა 62 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ყველაზე მეტი შეძლო. თუ საწყის დისციპლინაში, ატაცში იგი დიდი შედეგიანობით არ გამოირჩა, დანაკლისი აკვრაში აანაზღაურა და 1999 წელს ჩინელი ლე მაოშენგის მიერ დამყარებული მსოფლიოს რეკორდის (180,5) დამხობით (181) გამოიჩინა თავი. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ორჭიდის ჯამში ჩემპიონობაც ეზეიმა — ალიაშჩუკის საერთო შედეგი 317,5 კილოგრამია. ამით მან გაუსწრო თავის უახლოეს მდევარს, ჩინელ ლი ინგლონგს — 305. ბულგარელთა ნადავლი სტეფან გეორგიევმაც გაამდიდრა. მან 302,5 კილოგრამი დასძლია და ბრინჯაოს დაეუფლა.

ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას ვერ მიაღწია ხორვატმა ნიკოლაი პეშალოვმა. ოლიმპიურმა და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ატაცში სამიდან ორი მოძრაობა გააცუდა. მისთვის გადაულახავ ბარიერად დარჩა ამავე დისციპლინაში მეორეადგილოსანი ჩინელის მიერ დაძლეული 142,5 კილოგრამი. ნირწამხდარმა პეშალოვმა მოგვიანებით აკვრაში ასპარეზობაზე უარი თქვა, რადგან ამას აზრი არ ჰქონდა.

ქალებმა შედარებით მოკრძალებული შედეგები აჩვენეს. 53 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ოლიმპიური ვერცხლის მედალოსანმა, ტაივანელმა ლი ფენგინგმა თავის ყულაბას ოქრო შემატა. ვიცე-ჩემპიონობა კი აკვრაში ახალგაზრდების ახალი მსოფლიოს რეკორდით (115 კგ) აღნიშნა ჩინელმა ქი ჰონგსიამ.

**გიგა გურასპაშვილი**

| ვაჟები. 62 კგ |
|---|
| 1. გენადი ალიაშჩუკი (ბულგარეთი) 317,5 |
| 2. ლი ინგლონგი (ჩინეთი) 305 |
| 3. სტეფან გეორგიევი (ბულგარეთი) 302,5 |
| **ქალები. 53 კგ** |
| 1. ლი ფენგ-ინგი (ტაივანი) 210 |
| 2. ქი ჰონგსია (ჩინეთი) 207,5 |
| 3. ალხანდრა ესკობარი (ეკვადორი) 205 |

## შედეგები

### ტანვარჯიში

მსოფლიოს ჩემპიონატი. გენტი (ბელგია)

**ვაჟები**

მრავალჭიდი. 1. ჯინ ფენი (ჩინეთი) 56.211; 2. ივან ივანკოვი (ბელარუსი) 56.124; 3. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი) 56.085; ... 145. ალექსანდრე თვაური (საქართველო) 43.586; ... 188. ილია გიორგაძე (საქართველო) 35.799

გუნდური. 1. ბელარუსი (ივან ივანკოვი, ალექსეი სინკევიჩი, დმიტრი კასპიაროვიჩი, ვიტალი ვალინჩუკი, ალექსანდრ კრუჟილოვი, დენის სავენკოვი) 169.622; 2. აშშ 166.845; 3. უკრაინა 165.486

თავისუფალი ვარჯიში. 1. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი) და მარიან დრაგულესკუ (რუმინეთი) — 9.550; 3. იგორის ვიჰროვსი (ლატვია) 9.425

ტაიჭი. 1. მარიუს ურზიცა (რუმინეთი) 9.800; 2. კინ სიაო (ჩინეთი) 9.775; 3. ოლექსანდერ ბერეში (უკრაინა) 9.662

რგოლები. 1. იორდან იოვჩევი (ბულგარეთი) 9.775; 2. სილვესტერ ჩოლანი (უნგრეთი) 9.712; 3. ანდრეა ჩოპოლინო (იტალია) 9.650

ხტომები. 1. მარიან დრაგულესკუ (რუმინეთი) 9.668; 2. ევგენი საპრონენკო (ლატვია) 9.643; 3. ჩარლზ ლეონ ტამაიო (კუბა) 9.624

ორძელი. 1. შონ თაუნსენდი (აშშ) 9.700; 2. ერიკ ლოპესი (კუბა) 9.675; 3. ივან ივანკოვი (ბელარუსი) 9.637

ძელი. 1. ვლასიოს მარასი (საბერძნეთი) 9.737; 2. ოლექსანდერ ბერეში (უკრაინა) და ფილიპ რიზო (ავსტრალია) — 9.725

**ქალები**

მრავალჭიდი. 1. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 37.617; 2. ნატალია ზიგანშინა (რუსეთი) 37.305; 3. ანდრეია რადუჩანი (რუმინეთი) 36.949

გუნდური. 1. რუმინეთი (ანდრეია რადუჩანი, ლორედანა ბობოჩი, ანდრეია ულუმიანუ, სილვია სტროესკუ, საბინა კოჯოკარი, კარმენ იონესკუ) 110.209; 2. რუსეთი 109.023; 3. აშშ 108.514

ორძელი. 1. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 9.437; 2. რენსკე ენდელი (ჰოლანდია) 9.425; 3. კეტი ჰინენი (აშშ) 9.212

ხტომები. 1. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 9.412; 2. ოქსანა ჩუსოვიტინა (უზბეკეთი) 9.349; 3. ანდრეია რადუჩანი (რუმინეთი) 9.243

ძელი. 1. ანდრეია რადუჩანი (რუმინეთი) 9.662; 2. ლიუდმილა ეჟოვა (რუსეთი) 9.650; 3. სიაო ჟიაო სუნი (ჩინეთი) 9.575

თავისუფალი ვარჯიში. 1. ანდრეია რადუჩანი (რუმინეთი) 9.550; 2. დანიელე იპოლიტო (ბრაზილია) 9.487; 3. სვეტლანა ხორკინა (რუსეთი) 9.375



## კვირის მოთამაშე

### ბრაინ ბუშე (ფილადელფია)



ამ საოცარმა კვირამ ლაურეატობის ოთხი კანდიდატი გამოავლინა, ოთხივე მეკარე. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ბოლო შვიდი დღე შათაუტებითა და ნაკლებშედეგიანობით გამოირჩეოდა — 1:0, 2:0, 2:1 უფრო ხშირად ასე მთავრდებოდა შეხვედრები. ეს კი თავისთავად მეკარეთა კარგ თამაშზე მეტყველებს. ყველაზე მეტად კი ფილადელფიელმა ბრაიან ბუშემ, ვანკუვერელმა დან კლუტიემ, სენტლუისელმა ბრენტ ჯონსონმა და სანხოსელმა ევგენი ნაბოკოვმა გამოიჩინეს თავი. მათ შორის პირველობა 23 წლის ბუშეს ხვდა წილად. მან კვირის განმავლობაში გამართული სამი მატჩიდან ორში (თანაც ზედიზედ), შათაუტები მიითვალა, ხოლო საერთო ჯამში კარი 184 წუთის განმავლობაში ხელუხლებელი დატოვა. ბუშეს მსხვერპლი ვაშინგტონი (3:0) და პიტსბურგი (3:0) გახდნენ, რომლებთანაც მას შესაბამისად 31 და 32 დარტყმის მოგერიება მოუხდა. განსაკუთრებით ვაშინგტონელმა პეტერ ბონდრამ მოიწადინა — მან 11-ჯერ გამოსცადა ბრაიანი, თუმც უშედეგოდ. დღეისთვის ბუშე ერთ მატჩში საშუალოდ 1,64 გაშვებული გოლით ლიგაში საუკეთესოა. ყველაზე მეტად ეს ფილადელფიის თავკაცებს უნდა უხაროდეთ. ბუშემ ჩინებულად ჩაატარა სადებიუტო სეზონი, საუკეთესო ახალბედა მეკარედაც აღიარეს, მაგრამ გასული ჩემპიონატი აშკარად ჩააფლავა და სასტარტო პოზიციაც რომან ჩეხმანეკს დაუთმო. წლეულს ბრაიან ბუშემ ფორმა დაიბრუნა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ფილადელფიას ყველაზე მნიშვნელოვან პოზიციაზე ჯანსაღი კონკურენცია ექნება.

**საუკეთესო ექვსეული. 27 ოქტომბერი — 4 ნოემბერი**

*ბრაიან ბუშე (ფილადელფია, 1); კიმო ტიმონენი (ნეშვილი, 1) — კრის პრონგერი (სენტ ლუისი, 1); სტივ ტომასი (ჩიკაგო, 1) — კიტ ტკაჩუკი (სენტ ლუისი, 1) — კრისტიან ჰუსელიუსი (ფლორიდა, 1)*


რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან, ტელეფონით

ტელ: 60-21-23




ეროვნული ბიბლიოთეკა

**CART** ოცდამეერთე ეტაპი. ფონტანას (აშშ) დიდი პრიზი



ჟილ დე ფერანი ვანდერბილტის საჩემპიონო თასით

# მილიონი დოლარი კარტში ყველაზე გამძლეს

**ფედექს-კარტის** სერიის დასკვნითი ეტაპის წინ უკვე ცნობილი იყო საერთო ჩათვლაში გამარჯვებულიცა და ვიცე-ჩემპიონიც. გასარკვევი რჩებოდა მესამე პრიზიორის ვინაობა. ამერიკელ მაიკლ ანდრეტის და ბრაზილიელ ჰელიო კასტრონევეშს ქულათა თანაბარი რაოდენობა (141) ჰქონდათ და ამდენად მათ შორის ფიცხელ ბრძოლას ელოდნენ.

კალიფორნიის საკურორტო ქალაქ ფონტანას ტრეკი კარტში ყველაზე სწრაფია. სწორედ იქაა დაფიქსირებული არა მხოლოდ 900-ცხენისძალიანი „ჩემპკარების“, არამედ საერთოდ ავტორბოლაში აბსოლუტური მსოფლიო მიღწევა — ბრაზილიელი ჟილ დე ფერანის „რეინარდ-ჰონდამ“ შარშან კვალიფიკაციისას 387 კმ/სთ სიჩქარე განავითარა. ამ გამორჩეულად პრესტიჟული (გამარჯვებული ჯილდოდ მილიონ დოლარს იღებს) და ურთულესი ეტაპის დისტანცია 500 მილი, ანუ 800 კილომეტრია, მაგრამ ამჯერად იმის გამო, რომ ნაწვიმარი ტრასის გაშრობამდე სტარტი ერთი საათით გადაიდო, მერე კი ასპარეზობის მსვლელობაში პეისკარის რვაჯერ ჩარევამ რბოლა ისე გაწელა, რომ საკმაოდ შებინდდა კიდეც და გასავლელი გზა 30 წრით, თითქმის ასი კილომეტრით შეიკვეცა. ცხადია, ეს პილოტების უსაფრთხოების მიზნით გაკეთდა. საერთოდ, კალიფორნიულ ზემარათონს ბევრნი მოიხსენიებენ, როგორც რბოლას გამძლეობის ზღვარზე. მართლაც უძნელესი საქმეა სამი საათის განმავლობაში მანქანიდან გადმოუსვლელად, უვიწროეს კოკპიტში გაუნძრევლად ჩაჭედილისთვის, ლამის გაწოლილ მდგომარეობაში ფეთიანი ჯირითი, როცა უმცირეს შეცდომასაც კი შეიძლება კატასტროფული შედეგი მოჰყვეს.

ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ერთი ავარიაც არ მომხდარა, თუმცა სამი ბოლიდი მაინც გვარიანად დაილეწა. მიზეზი გახდა მექანიკური პრობლემები, რის გამოც ჯერ კენი ბრაკის, მერე ადრიან ფერნანდესის, ფინიშამდე ხუთი წრით ადრე კი სკოტ დიქსონის საჭეგაქცეული მანქანები უზარმაზარი სიჩქარით შეასკდნენ ბეტონის დამცავ ჯებირს. საბედნიეროდ, პილოტები სერიოზულად არ დაშავებულან. სიტყვამ მოიტანა და ალვნიშნავთ, რომ 21 წლის ახალზელანდიელმა დიქსონმა სეზონის ხუთ ახალბედას შორის საუკეთესო შედეგი (98 ქულა, მერვე ადგილი) აჩვენა და კარტის დირექტორატისგან საჩუქრად 50 ათასი დოლარიც დაიმსახურა.

ქარავანი ბოლომდე ისე მჭიდრო ჯგუფად მიდიოდა, რომ ლამის ყოველ წრეზე იცვლებოდნენ ლიდერები და ორი გასაკვირი რეკორდიც აღინუსხა — ცხრამეტმა მრბოლმა მოასწრო, თუნდაც დროებით, სათავეში ყოფნა, პელოტონის მეწინავე კი 73-ჯერ შეიცვალა (ძველი მიღწევა 62 იყო).

კასტრონევეშ-ანდრეტის დაპირისპირება საკმაოდ ადრე, 87-ე წრეზე დასრულდა — ლიდერთა ჯგუფში მყოფი ბრაზილიელის „რეინარდმა“ ბოლი გაუშვა და ბოქსებთან უძრავად დარჩა. ასე რომ, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა 39 წლის მაიკლ ანდრეტი — ყველაზე სახელოვანი მოკარტე, რომელსაც ერთი სეზონი (1993) ფორმულაშიც ულვაწია.

დიქსონის ავარიის დროს პირველ პოზიციაზე ბრაზილიელი კრისტიანო და მატა იმყოფებოდა. რაკი რბოლის ბოლომდე ხუთიოდე წრეღა რჩებოდა, ბრძოლა აღარ განახლებულა და მანქანებმაც პეისკარის მიყოლებით გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. 28 წლის კრისტიანომ წლეულს მესამე დიდი პრიზი მოიგო, სამწლიან საკარტო კარიერაში თავისთვის უმაღლეს, მეხუთე ადგილზე გავიდა და, რაც უმთავრესია, ფონტანას ჯოჯოხეთში გამარჯვებით მილიონი დოლარით გამდიდრდა. ასევე საუკეთესო გამოდგა წლევანდელი სეზონი 35 წლის შვედი ბრაკისთვის. ჩემპიონობა კი ზედიზედ მეორედ მოიპოვა კოლეგებისგან „პროფესორად“ მონათლულმა ჟილ დე ფერანმა. 33 წლის ბრაზილიელმა წლეულს სამი ეტაპი მოიგო, კიდევ ექვსჯერ პოდიუმზე შედგა და ჯამში 199 ქულა დააგროვა.

ეროვნებათა, ანუ გუნდური თასი ბრაზილიელებმა დაისაკუთრეს (341 ქულა). კონსტრუქტორთა შეჯიბრში „რეინარდმა“ (378) „ლოლას“ (335) სძლია, ხოლო ძრავების მწარმოებელთა შორის საუკეთესო იყო „ჰონდა“ (342).

ბოლოს, ისევ ჩემპიონზე: ესპანური არისტოკრატიული გვარის წარმომადგენელი პარიზში დაიბადა. ერთი წლის შემდეგ დე ფერანების ოჯახი საცხოვრებლად ბრაზილიაში გადაბარგდა. ჟილი ცოლ-შვილთან ერთად ამჟამად შტატებში, ფლორიდაში ცხოვრობს. კარტში 1995 წლიდანაა. ჩაატარა 129 რბოლა, რომელთაგან შვიდი მოიგო და 949 ქულა დააგროვა. „პროფესორს“ დღესაც ფანატიკურად უყვარს თავისი ხელობა: „ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად კმაყოფილი ვარ. ყოველ დილით, გაღვიძებისთანავე, რბოლაზე ვფიქრობ, როგორ აღმუვლდება ჩემს ზურგს უკან ცხრაასიოდე „ცხენი“. ფანტასტიკური გრძნობაა!“

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

220 წრე — 718,3კმ

1. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 2სთ; 59.39,72 (239,9კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) ჩამორჩა 0,12 წამით; 3. ალექს ტალიანი (კანადა, რეინარდ-ფორდი) 0,49; 4. ბრუნო ჟუნკეირა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 0,92; 5. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 1,19; 6. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 3,13; 7. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 3,85; 8. კენი მირსი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) 4,01; 9. ალექს ბარონი (აშშ, ლოლა-ფორდი) 4,96; 10. პატრიკ კარპენტიე (კანადა, რეინარდ-ფორდი) 5,82; 11. ორიოლ სერვია (ესპანეთი, ლოლა-ფორდი) 7,35; 12. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 8,91.

### საბოლოო ვითარება

1. ჟილ დე ფერანი 199 ქულა; 2. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა-ფორდი) 163; 3. მაიკლ ანდრეტი 147;4. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 141; 5. კრისტიანო და მატა 140; 6. მასიმილიანო პაპისი 107;7. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 105; 8. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 98; 9. ტონი კანაანი 93; 10. პატრიკ კარპენტიე 91.

ევროპის თასი. IV ტური

# ლეონსიო მაინც წამოდგა

## სადმე კვაჭი ხომ არ გეგულებათ?



კასტრი — ჰარლიქვინზი. კასტრელი რაფაელ იბანიესი ჯეისონ ლენარდის შებოჭვას ცდილობს

### IV ჯგუფი

**კასტრი 24:18 ჰარლიქვინზი**

კასტრი: მოლა, ლონგსტაფი, არტიგიუსტი (დელმოტი 69), ბერიმენი, სარამეა, ტოლე, ალბუე, ტუკენი (ცაბაძე 10), იბანიესი (ვინიო 71), მუალი, ბურდე (ლალიუკი 56), სპანგერო, კოსტი, ტოსაკი (ფრომანი 58), ლასისი

დროებითი შეცვლა: ცაბაძე — ვინიო (59-69)

3ლ: არტიგიუსტი, სარამეა, მოლა; 3გ. და 1ს: ტოლე

ჰარლიქვინზი: ონილი (გოლინგზი 69), მური, გრინვუდი, გრინსტოკი (ბაროუზი 59), ლუგერი, სლიმენი, პოუელი (ბიმენდი 59); სტარი (დაგლასი 69), ვუდი, ლენარდი, მორგანი, დევიდსონი, ვაიტი, სანდერსონი (ტამარუა 59), უინტერსი (დიპროუზი 59)

2ლ: ვუდი, გრინვუდი; 1გ. და 2ს: სლიმენი

**მანსტერი 40:6 ბრიჯენდი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 4 | 4 | 0 | 0 | 108:49 | 8 |
| კასტრი | 4 | 3 | 0 | 1 | 121:86 | 6 |
| ჰარლიქვინზი | 4 | 1 | 0 | 3 | 73:111 | 2 |
| ბრიჯენდი | 4 | 0 | 0 | 4 | 65:121 | 0 |

„სადმე კვაჭი ხომ არ გეგულებათ?“ — ჩაფიქრიანებულმა „კასტრის“ თანამწვრთნელმა ჟან-ფრანსუა ბელტრანმა ხუმრობა სცადა და ირგვლივ მიმოიხედა... ამ დროს ძლიერი ქართველი კვაჭი ლევან ცაბაძე თავჩაღუნული იჯდა სათადარიგოთა სკამზე. ბულას, როგორც ფრანგები ეძახიან ლეონსიოს, ორიოდ წუთით ადრე მძიმე დარტყმა მიელო. „ვერ ვარ კარგად. თავი მტკივა“ — უთხრა ბორჯღალოსანმა მასთან მისულ ჟურნალისტს.

მე-60 წუთზე მორიგი მოლის შემდეგ ლევანი მინდვრის შუაში დარჩა წაქცეული. მის გამოსაყვანად საკაცეც კი შეიტანეს, მაგრამ ლეონსიო მაინც წამოდგა ფეხზე და ბარბაცით, მაგრამ თავისით დასტოვა მოედანი. ქართველს უხეშად ინგლისის ნაკრებში მრავალი კეპის მომხვეჭი ჯეისონ ლენარდი მოქცევია.

ცაბაძის ადგილი შემადგენლობაში ვინიომ დაიკავა, იბანიესი კი კვაჭად გადავიდა. ჩვენებური ათიოდ წუთი დარჩა ექიმთა ზედამხედველობის ქვეშ და მერე ისევ შებრუნდა მოედანზე, რადგან ამ დროში უკვე თავად გუნდის კაპიტანი რაფაელ იბანიესი გამხდარიყო შესაცვლელი. იმედია, ლეონსიოს რაიმე სერიოზული ტრავმა არ მიუღია და შაბათს საფრანგეთის A ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს.

შეხვედრა კასტრელთა სასარგებლოდ კი დასრულდა, მაგრამ მათ გაცილებით გაუჭირდათ მეტოქის ძლევა, ვიდრე ერთი კვირის წინ ლონდონში „ჰარლიქვინზისვე“ მოედანზე. ახლა „კასტრი“ ჯგუფში მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა და თუ „ბრიჯენდს“ სტუმრად აჯობებს 5 იანვარს, ერთი კვირის თავზე შინ „მანსტერს“ ჯგუფის პირველობასაც შეეცილება. ისე, ადრეც ვთქვით და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ ცაბაძის გუნდს მეოთხედფინალში გასვლის მშვენიერი შანსი აქვს, თუნდაც როგორც ორიდან ერთ-ერთ საუკეთესო მეორეადგილოსანს.

ანგარიში ინგლისელებმა გახსნეს დასაწყისშივე, როცა მათმა დამრტყმელმა სლიმენმა თამაშგარე მდგომარეობისთვის დანიშნული საჯარიმო შესრულა ზუსტად. ტარნელების პასუხმაც არ დააყოვნა და არტიგიუსტმა უკვე მე-3 წუთზე მოახერხა ბრიტანელთა დალელოვება.

ლონდონელებს რევანშის აღება სურდათ და ამისთვის ძალებიც არ დაუშურებიათ. მათმა ლეგიონერმა, ირლანდიის ნაკრების კაპიტანმა კიტ ვუდმა მე-8 წუთზე შეძლო მეტოქის ლელოში ბურთის დადება, მალე სლიმენმა ერთი საჯარიმოც შეაგდო და მომხდურები 11:7 დაწინაურდნენ.

შემდეგ კასტრელებს კიდევ ჰქონდათ ლელოს გატანის შანსი, მაგრამ ბოლო მომენტში სარამეამ მოლა ვერ შენიშნა და თამაში თავის თავზე უსარგებლოდ აიღო. თუმცა ტაიმის მიწურულს მან შეცდომა გამოასწორა და იმავ მოლას მიერ მეტოქის დაცვის უკან ფეხით გადაგდებულ ბურთს პირველმა მიუსწრო და თავიც გამოიჩინა.

შესვენების შემდეგ თამაში მასპინძელთა უპირატესობით გაგრძელდა და ჯერ ტოლემ შეაგდო საჯარიმო, წუთში კი მოლამ მესამედ დაალელოვა სტუმრები და ტოლეს მესამე ზუსტი გარდასახვით „კასტრი“ 24:11 გაიჭრა წინ. გრინვუდის ლელოს კი მატჩში გარდატეხის შეტანა აღარ შეეძლო, რადგან კასტრელები თავს მშვიდად იცავდნენ და მეტოქისთვის მეტჯერ რიგიანი შეტევის განხორციელება აღარ დაუნებებიათ.

აღსანიშნავია, რომ თეორიულად მეოთხედფინალში თავი ჯერ არავის დაუზღვევია. მის გარეშე კი, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, უკვე დარჩნენ „პერპინიანი“, „კალვისანო“, „უოსპსი“, „ტრევიზო“, „სუონსი“, „ბიარიცი“, „ედინბურგი“, „ჰარლიქვინზი“, „ბრიჯენდი“, „ნორთჰემპტონი“, „გლაზგო“, „ნიუპორტი“, „ნიუკასლი“ და „ტულუზი“. ისე, სასწაული თუ არ მოხდა ამ ზამთარში, შემდეგ ეტაპზე გასულებად „ბათი“, „მანსტერი“ და „ლესტერი“ უნდა ჩავთვალოთ.

**გაგი გურული**

### I ჯგუფი

**ლესტერი 54:15 პერპინიანი**

**ლლანელი 93:14 კალვისანო**

ლესტერი 8 ქულა, ლლანელი 6, პერპინიანი 2, კალვისანო 0

### II ჯგუფი

**ოლსტერი 19:16 სტად ფრანსე**

**ტრევიზო 32:17 უოსპსი**

სტად ფრანსე 6 ქულა, ოლსტერი 6, ტრევიზო 2, უოსპსი 2

### III ჯგუფი

**ბათი 17:10 ედინბურგი**

**ბიარიცი 24:15 სუონსი**

ბათი 8 ქულა, სუონსი 4, ბიარიცი 3, ედინბურგი 1

### V ჯგუფი

**მონფერანი 50:17 ნორთჰემპტონი**

**გლაზგო 47:32 კარდიფი**

მონფერანი 7 ქულა, კარდიფი 4, გლაზგო 3, ნორთჰემპტონი 2

### VI ჯგუფი

**ნიუპორტი 21:26 ლენსტერი**

**ნიუკასლი 42:9 ტულუზი**

ლენსტერი 8 ქულა, ნიუპორტი 4, ნიუკასლი 2, ტულუზი 2

## ევროპის ფარი. IV ტური

Parker Pen Shield

### I ჯგუფი

**მონტობანი 19:15 ებ ვეილი**

**როვიგო 7:66 აჟანი**

აჟანი: ლაფორგი (მანა), კორო, დულინი, ბუიკა, მარტინი, ჟელეზი (შტოლცი), ტანდონე, პლანადე, მთიულიშვილი (პორტერი 19), პორკუ, ლაბრუსი, კუზინე, ბუკანუშა, ბენეტონი, გუიემე (ფრიანი)

10 ლ: პორკუ (2), ლაფორგი, პლანადე, დულინი, კუზინე, ბუიკა, ტანდონე, ბუკანუშა, კორო; 8 გ: ჟელეზი (6), ბუიკა, შტოლცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჟანი | 4 | 3 | 0 | 1 | 155:47 | 6 |
| მონტობანი | 4 | 3 | 0 | 1 | 93:80 | 6 |
| ებ ვეილი | 4 | 2 | 0 | 2 | 68:70 | 4 |
| როვიგო | 4 | 0 | 0 | 4 | 59:178 | 0 |

### II ჯგუფი

**კოლომიე 45:6 პადოვა**

**მადრიდი 6:30 პო**

პო 8 ქულა, კოლომიე 6, პადოვა 2, მადრიდი 0

### III ჯგუფი

**პონტიპრიდი 28:16 ლიდსი**

**ბეზიე 34:19 პარმა**

ბეზიე: 3 ლ: ვიარი, პრივატი, მინიონი; 2 გ: დურთი; 5 ს: დურთი

პონტიპრიდი 4 ქულა, პარმა 4, ლიდსი 4, ბეზიე 4

### IV ჯგუფი

**რომა 17:22 ნარბონი**

**სეილი 44:6 კონახტი**

სეილი 8 ქულა, ნარბონი 4, კონახტი 4, რომა 0

### V ჯგუფი

**ბრისტოლი 31:15 ვიადანა**

**ბურგუენი 25:27 ნისი**

ბრისტოლი 8 ქულა, ნისი 6, ვიადანა 2, ბურგუენი 0

### VI ჯგუფი

**ლონდონ აირიში 76:10 ვალიადოლიდი**

**დაქსი 94:19 ლაკვილა**

ლონდონ აირიში 8 ქულა, დაქსი 6, ლაკვილა 2, ვალიადოლიდი 0

### VII ჯგუფი

**კერფილი 16:45 გლოსტერი**

**გრან პარმა 25:30 ლა როშელი**

გლოსტერი 8 ქულა, ლა როშელი 6, კერფილი 2, გრან პარმა 0

### VIII ჯგუფი

**დინამო 5:83 ბეგლ-ბორდო**

**ბოლონია 10:75 სარასენზი**

სარასენზი 8 ქულა, ბეგლ-ბორდო 6, დინამო 2, ბოლონია 0

10 ნოემბერი. 15 საათი

## საქართველო - საფრანგეთი „ა"

თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი





ლევან ცაბაძის (მარცხნივ) საფრანგეთთან თამაში საეჭვოა, მევლუდ მთიულიშვილი და ილია ზედგინიძე კი ნამდვილად ვერ ითამაშებენ

# ფრანგებმა საქართველო საფრანგეთში დაასუსტეს

**გუშინ** სრული შემადგენლობით შეიკრიბა საქართველოს მორაგბეთა ნაკრები. ჩვენი ლეგიონერები გამთენიისას ჩამოვიდნენ თბილისში. მათ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეებიც შეუერთდნენ და დაახლოებით ხუთი საათისთვის ზემო ვეძისში მდებარე სასტუმრო „ხედში" იწყეს თავშეყრა.

პირველი სასტუმროში ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი მივიდა, თუმცა მალევე დატოვა იქაურობა და დეტალების გასარკვევად რაგბის კავშირს მიაშურა. ექვსი საათისთვის „ხედის" ეზოში და ფოიეში სორელის მიერ გამოძახებული ყველა მორაგბე გამოცხადდა. მათ შორის არ იყვნენ ბორჯღალოსანთა ძირითადი შემადგენლობის შუამარბი ვასილ კაცაძე და მორკინალი გრეგუარ იაშვილი. ორივე მორაგბემ ცოტა ხნის წინ მხრის ტრავმა მიიღო და საოპერაციო შეიქნა. კაცაძე და იაშვილი ნაკრებს ვერც ფრანგებთან და ვერც სამხრეთ აფრიკასთან შეეშველებიან. იაშვილის შემცვლელად სორელმა ბოლო მომენტში ფრანგული „კრეზოს" მორკინალი სერგო გუჯარაიძე შეიგულა.

მოგვიანებით კლოდ სორელიც გამოჩნდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ მწვრთნელ-მორაგბეები სავახშმოდ დასხდნენ. ამის შემდეგ კლოდ სორელმა ის 22-კაციანი საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელიც ფრანგებს დაუპირისპირდება. ბორჯღალოსანთა ფრანგმა მწვრთნელმა შეკრებიდან დაითხოვა ნაკრების ახალწვეულები გიორგი ჯორჯაძე, ირაკლი მაჩხანელი, ოთარ ბარკალაია, სერგო გუჯარაიძე, ოთარ ელოშვილი. ფრანგების წინაამღდეგ მატჩს გამოტოვებენ მევლუდ მთიულიშვილი, ილია ზედგინიძე, ვასილ აბაშიძე. მთიულიშვილს კუნთი აქვს დაჭიმული, ზედგინიძეს საზარდულის ანთება აწუხებს, ხოლო ვასილ აბაშიძემ ზაფხულში ნაოპერაციევი მუხლი ჯერ კიდევ ვერ მოირჩინა. მართალია, ეს მორაგბეები ფრანგებთან არ ითამაშებენ, მაგრამ ნაკრების შეკრებაზე რჩებიან და ადვილი მოსალოდნელია, სამხრეთაფრიკელებს დაუპირისპირდნენ. ეს მაშინ გადაწყდება, როცა პარასკევს ნაკრების ფრანგი ექიმი ჟან-ლუი სალომონი თბილისში ჩამოვა და ტრავმირებულებს გასინჯავს.

რადგან დაშავებულებზე ვსაუბრობთ, აქვე ბორჯღალოსანთა უპირობო ლიდერ ლევან ცაბაძეზეც ვთქვათ. ლეონსიო ევროპის თასის ბოლო ტურში სერიოზულად დაშავდა. ზედახორაში მოყოლილს ჯერ თავი გაუტყდა, მერე კი ფეხის კუნთი დაეჟეჟა. მიუხედავად იმისა, რომ ცაბაძე კოჭლობდა, სორელმა იგი მაინც შეიყვანა 22-კაციან შემადგენლობაში, თუმცა მისი თამაში საეჭვოა.

მიკროტრავმები აწუხებს რამდენიმე ბორჯღალოსანს, თუმცა ეს იმდენად უმნიშვნელო ტრავმებია, რომ თვითონ მორაგბეებმაც არ გაამახვილეს ყურადღება.

ნაკრები დღეიდან ვარჯიშს შეუდგება. დღისით კლოდ სორელი თავის შეგირდებს ფიზიკურად და ბურთით ავარჯიშებს. საღამოობით კი თეორიულ მეცადინეობას ჩაუტარებს.

ჩვენ რამდენიმე მორაგბეს გავესაუბრეთ და ფრანგებთან გასამართ მატჩის თაობაზე დავეკითხეთ.

***ლევან ცაბაძე:*** „სიმართლე გითხრათ, მიჭირს პროგნოზის გაკეთება. ნაკრები გაზაფხულის შემდეგ არ შეკრებილა და ვეჭვობ, მაქსიმალურად შევძლოთ ამ მატჩისთვის სრულფასოვნად მომზადება. ერთს კი გპირდებით, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ. თამაშში სულსა და გულს ჩავდებთ."

***კახა ალანია:*** „ფრანგები საკმაოდ ძლიერი გუნდით ჩამოდიან. ჩვენ კი ძირითადი შემადგენლობის ხუთი მორაგბე გვაკლია. ესეც რომ არა, მეტოქე აშკარად ჩვენზე ძლიერია, თანაც მათ მოსამზადებელი პერიოდი ჩინებულად გამოიყენეს. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ვინ გაიმარჯვებს."

***ზურაბ მჭედლიშვილი:*** „მიჭირს პროგნოზის გაკეთება. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. თავს არ დავზოგავთ".

***ვიქტორ დიდებულიძე:*** „როგორც ყოველთვის, მოედანზე საბრძოლველად გავალთ. მეტოქეს არაფერს დავუთმობთ. ფავორიტი საფრანგეთია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია".

**ბაჩო სვანიძე**

## ტრავმირებული ბორჯღალოსნები

| მოთამაშე | ტრავმა | ითამაშებს თუ არა |
|---|---|---|
| ლევან ცაბაძე | გატეხილი თავი | საფრანგეთთან საეჭვოა |
| | დაჟეჟილი ფეხის კუნთი | სამხრეთ აფრიკასთან საეჭვოა |
| მევლუდ მთიულიშვილი | დაჭიმული ფეხის კუნთი | საფრანგეთთან არ ითამაშებს |
| | | სამხრეთ აფრიკასთან საეჭვოა |
| გრეგუარ იაშვილი | მხრის ოპერაცია გაიკეთა | საფრანგეთთან არ ითამაშებს |
| | | სამხრეთ აფრიკასთან არ ითამაშებს |
| ილია ზედგინიძე | საზარდულის ანთება | საფრანგეთთან არ ითამაშებს |
| | | სამხრეთ აფრიკასთან საეჭვოა |
| ვასილ კაცაძე | მხრის ოპერაცია გაიკეთა | საფრანგეთთან არ ითამაშებს |
| | | სამხრეთ აფრიკასთან არ ითამაშებს |
| ვასილ აბაშიძე | ნაოპერაციევი მუხლი | საფრანგეთთან არ ითამაშებს |
| | | სამხრეთ აფრიკასთან საეჭვოა |

# ღირსეული ბატონი სორელი უკან დახევას არ აპირებს

***სანამ** სასტუმრო „ხედის" ფოიეში შეკრებილი მორაგბეები ერთმანეთის მოკითხვით, თავ-თავიანთი კლუბების ამბების და სამომავლო გეგმების თხრობით იყვნენ დაკავებულნი, მათი მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი ბორჯღალოსანთა მორკინალ ვანო ნადირაძესთან ერთად მომავალი მატჩის თაობაზე საუბრობდა. ნაკრების ფრანგი დამრიგებელი შეგირდებთან ტაქტიკურ მონახაზებზე დალაპარაკებას აპირებდა, როდესაც ინტერვიუ ვთხოვეთ. როგორც ყოველთვის, კლოდ სორელი თავაზიანად დაგვთანხმდა მცირე ინტერვიუზე.*

*მასთან საუბარი კი 11 ნოემბერს ლონდონში გასამართ IRB-ის (რაგბის საერთაშორისო საბჭო) დაჯილდოების ცერემონიალით დავიწყეთ. როგორც იცით, სორელი წლის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაზეა წარდგენილი.*

— მე ჯერ არ ვიცი, ვინ არიან ჩემი კონკურენტები, მაგრამ ვფიქრობ, ვინც არ უნდა იყვნენ, ღირსეული კანდიდატები იქნებიან და ჩემზე უფრო იმსახურებენ წლის საუკეთესო მწვრთნელის წოდებას. ის ფაქტი, რომ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა ოთხეულში მოვხვდი, უკვე დიდი წარმატებაა ჩემთვის.

**— რას ფიქრობთ მომავალ მატჩზე და როგორ აფასებთ ჩვენი ნაკრების შანსებს?**

— მოდით, ყველაფერს რეალურად შევხედოთ. საფრანგეთი დღეს საქართველოს ერთი თავით სჯობს და ნუ შევიქმნით ილუზიას, რომ ჩვენ მათი დამარცხება იოლად შეგვიძლია. მე ვფიქრობ, რომ უპირობო ფავორიტი საფრანგეთის ნაკრებია, თანაც ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე გვაკლია. ვერ ითამაშებენ ვასილ აბაშიძე, ილია ზედგინიძე, მევლუდ მთიულიშვილი, გრეგუარ იაშვილი, ვასილ კაცაძე. არადა ეს მორაგბეები ამინდს ქმნიან ნაკრებში.



კლოდ სორელი

**— ხომ არ უნდა ველოდოთ ახალ ტაქტიკურ მონახაზს?**

— ჩემი აზრით, ჩვენი თამაში არ უნდა იყოს დამოკიდებული მეტოქეზე. საქართველომ თავისი თამაში უნდა ითამაშოს. ტაქტიკის ცვალებადობა მეტოქემ არ უნდა განაპირობოს. ჩვენი მთავარი ამოცანა მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა. ამიტომ საფრანგეთთან და სამხრეთ აფრიკასთან გასამართი საკონტროლო მატჩები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ერთმხრივ კარგია, რომ ახლა რამდენიმე მორაგბე ტრავმირებულია. სხვა დროს მათი შემცვლელების გამოცდა რისკთან იქნებოდა დაკავშირებული. ახლა ჩინებული შესაძლებლობა მეძლევა სათადარიგოები საქმეში ვნახო.

**— ხომ არ ნიშნავს, რომ სანაკრებო შეკრებიდან დათხოვნილებს აღარ გამოიძახებთ?**

— არავითარ შემთხვევაში. ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა. ქვეყნის უპირველეს გუნდში ის მოხვდება, ვინც ღირსი იქნება.

**ბაჩო სვანიძე**

# უმსგავსობა და აბსურდის დოღი ერთად გრძელდება

## ვისია საქართველოს თასი?

**ეროვნული** ნაკრების სამომავლო მატჩების გარდა საქართველოს რაგბის კავშირი კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი საქმითაა დაკავებული. ლაპარაკია საქართველოს თასის ფინალური მატჩის ჩატარების თუ არ ჩატარების გაჯანჯლებულ პროცესზე.

მოგეხსენებათ, თასის ფინალი ორშაბათს, 5 ნოემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ „ლოკომოტივის" არგამოცხადების გამო შეხვედრა ჩაიშალა. ამ თითქმის დეტექტიური და აბსურდული ამბავის თაობაზე გუშინდელ „სარბიელში" ვწერდით და იმ მოვლენებზე, რომლებიც გუშინწინ განვითარდა, ყურადღებას აღარ გავამახვილებთ.

გუშინ რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს მოსხდარი უნდა განეხილა, მაგრამ სხდომა სავარაუდოდ ორშაბათისთვის გადაიდო. იმ დროისთვის კავშირს საქართველო — საფრანგეთის მეტად მნიშვნელოვანი მატჩი ზურგსუკან ექნება მოტოვებული და სათასო ფინალის ჩაშლის მიზეზებს უფრო მეტ დროს დაუთმობს.

ახლა კი იმაზე, თუ რატომ გადაიდო გუშინდელი სტკ-ს სხდომა. დისციპლინარებს ორივე ფინალისტის — „დათვების" და „ლოკომოტივის" ხელმძღვანელობასთან ერთად სურდათ სიტუაციაში გარკვევა, მაგრამ მათ წინაშე მხოლოდ „დათვების" მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძე წარსდგა. რკინიგზელთა თავკაცი თემურ ბენდიაშვილი კი სხდომას არ დასწრებია. არადა, რამდენიმე საათით ადრე ბენდიაშვილმა და მგელაძემ ერთმანეთში ისაუბრეს, თუმცა ამის შემდეგ ბენდიაშვილმა კავშირის ოფისი ისე დატოვა, რომ სხდომის დაწყებას არ დალოდებია.

„ჩვენ მართლაც შევხვდით ერთმანეთს. ბენდიაშვილმა უსაფუძვლო არგუმენტები მოიშველია იმის თაობაზე, თუ რატომ არ უნდა გამართულიყო ფინალური მატჩი ქუთაისში და რატომ არ ჩამოვიდა სათამაშოდ. კერძოდ, მან მითხრა, რომ „დათვებში" სამი ქუთაისელი მორაგბე თამაშობს და „ტორპედოს" სტადიონი ნეიტრალურ ადგილად ვერ ჩაითვლებოდა, რაც ჩემი აზრით, ყოვლად მიუღებელი არგუმენტია. ყველაფერს სტკ-ს სხდომა მოფენს ნათელს" — ეს გვითხრა „დათვების" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ.

ჩვენ ამაოდ ვცდილობდით მეორე მხარესთან დაკავშირებას, თემურ ბენდიაშვილის მოხელთება ვერაფრით შევძელით.

მანამდე კი, ამ გაუგებრობის თაოსანმა, რაგბის კავშირმა, თავისი ბუნდოვანი პოზიცია დააფიქსირა: „ფინალური მატჩი აღარ გაიმართება. დანარჩენ საკითხებს სტკ-ს სხდომაზე განიხილავენ."

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რა იგულისხმება ფინალური მატჩის არგამართვის ქვეშ. კერძოდ ის, რომ თბილისის „ლოკომოტივს" წაგება ჩაეთვლება და თასი ზღვისპირელებს გადაეცემა. ამ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას რაგბის კავშირს მისივე დებულება აძლევს. მითუმეტეს, რომ „ლოკომოტივი" კავშირის მიერ დანიშნულ მატჩზე არ გამოცხადდა. მიიღებს თუ არა სტკ რკინიგზელთა უფროსობის არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ „ლოკომოტივი" არ იყო ინფორმირებული მატჩის დანიშვნის შესახებ, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი, სანამ კავშირი თავის მტკიცე პოზიციას არ დააფიქრებს და ბოლოს არ მოუღებს ამ უმსგავსობას, აბსურდის დოღი გრძელდება.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიჭიდაოთ და ვიჭიდაოთ

ეს ვარჯიში გახლავთ, სხვანაირად კი პროფესიონალ მოჭიდავე ქალთა სპარინგი ტორონტოს ერთ-ერთ დარბაზში. როზიტა სტოუნს საიმონ კინის ფეხი ჩაუბღუჯავს, ეს უკანასკნელი კი ცდილობს რინგის თოკს მოეჭიდოს, რახან ამ მძიმე ჭიდაობის წესებით, თოკს მოჭიდება ორთაბრძოლის დროებით შეჩერებას ნიშნავს. ეს ორი მოჭიდავე, სხვა ათ ქალთან ერთად, კანადაში გასამართი სატელევიზიო საჭიდაო შოუებში გამოსაჩენად ემზადება. ამ შოუების მიზანი კი პროფესიულ ჭიდაობაში ქალთა ჩაგვრის საბოლოო აღკვეთა ყოფილა.


REUTERS ტორონტოდან


REUTERS ნიუ იორკიდან

# კენწვლა და სირბილი

სპორტი და პოლიტიკოსები რომ ახლოში ტრიალებენ, ცნობილი ამბავია. ჰოდა, საკვირველიც არ არის, რომ კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯონ მენლი (შუაში) ნიუ იორკს ჩასულა იქაურ განთქმულ მარათონში გასარბენად. ეს ფოტო მარათონის წინადღითაა გადაღებული, ტრადიციული ოთხმილიანი გარბენისას. ბოლივიის ახალგაზრდა პრეზიდენტი ხორხე კიროგა რამირესი კი სულ კენწლვა-კენწლვით შესულა „ელ ალტოს" ახლადაშენებულ სტადიონზე, რომელიც ლა პასიდან 30 კილომეტრში, ზღვის დონიდან კი 4000 მეტრზე მდებარეობს.

# ჩემპიონები ვართ, ქალო...

გასრულდა ბეისბოლის მსოფლიოს სერია. ფინიქსში „არიზონა დაიმონდბექსმა" სერიის მეშვიდე და გადამწყვეტი მატჩი მოუგო „ნიუ იორკ იანკიზს" (3:2) და მსოფლიოს ჩემპიონიც შეიქნა. ფინიქსელთა პიჩერი კურტ შილინგი ამიტომაც ჩაკვრია თავის ცოლ შონდას. კურტს ორმაგად სასიხარულო ამბავიც შეუტყვია, ისა და მისი თანაპიჩერი რენდი ჯონსონი სერიის უძვირფასეს მოთამაშეებად გამოუცხადებიათ.


REUTERS ფინიქსიდან


REUTERS ლა პასიდან

# დიდი გლოვა

ალპიურ სოფელ ლა კლუსაზში გლოვაა, საფრანგეთის სამთო მოთხილამურეთა ნაკრები დასტირის გიგანტური სლალომის ჩემპიონ ქალს, რეჟინ კავანიუს, რომელიც ვარჯიშისას დაიღუპა ავსტრიის მთებში. დიდი ხის ჯვარი, ცრემლი და რეჟინის ბოლოდროინდელი ჯილდოები, ოქროს მედალი და მსოფლიოს თასი, მის თანაგუნდელ მეგობრებს მელენ სუბეს (მარცხნივ) და კაროლ მონტელეს უჭირავთ. საფრანგეთს გარდაეცვალა თავისი საუკეთესო სამთო მოთხილამურე ქალი.


REUTERS ლა კლუსაზიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge